საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი 13 აგვისტო 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ჯდება 5 მანეთი. განცხადების ფასი ხორცის სტრიქონი 10 მანეთი. ... 6 მანეთი ... (15 × 2) 200 მანეთი ...
ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 182 — ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. — № 182

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული.
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

საავიაციო გუნდის ოფიცრები, ჯარისკაცები და მოსამსახურენი ღრმისი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მათი კომანდირის სამხედრო მფრინავის მაიორ
ნიკოლოზ აბელის ძე მაჭავარიანის
ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 11 აგვისტოს საღამოს 7 საათ. აეროდრომზე ფრენის დროს. პანაშვიდი სამხედრო სობოროში 13 აგვისტოს დილის 1 საათზე და სად. 7 საათ. წესის აგება და გამოსვენება იმავე სობოროდან წირვის შემდეგ 14 აგვისტოს დილის 12 ს. დაკრძალვა დიდუბის სასაფლაოზე. (2641 1—1)

მუშათა მაგიდა
ამით აცხადებს ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო წარმოება-დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომლებიც სარგებლობენ მუშათა მაგიდის სურსათ სანოვაგით, რომ ისინი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ მუშა-მოსამსახურეთა
ახალი სიები
და სააღრიცხვო ბარათები. ვინც 20 აგვისტომდე ზემო-აღნიშნულ ახალ სიებს არ წარმოადგენს, მათ პური და სხვა სურსათ-სანოვაგე არ მიეცემათ.
წესი სიების შედგენისა:
1) სიები უნდა იქნეს წარმოდგენილი ორ ცალად.
2) თითო სულზე თითო სააღრიცხვო ბარათი.
3) სიები და ბარათები უნდა იქნეს შედგენილი სუფთათ, დაწერილი გარკვევით, შემოწმებული ადმინისტრაციის, საქარხნო კომიტეტის ან პროფესიონალურ კავშირების მიერ სახელმწიფო ენაზე; სიებზე აღინიშნება ჯგუფის ნომერი.
4) სიის ბლანკებზე აღნიშნული წესები სავალდებულოა.
5) დედ-მამა (შრომის უნარს მოკლებული) და და-ძმანი (ობლები) თუ მუშა-მოსამსახურის შესანახი უნდა სათანადო მოწმობები იქნეს წარმოდგენილი საქარხნო კომიტეტიდან ან პროფესიონალურ კავშირებიდან მათი პასუხისმგებლობის ქვეშ.
6) ბლანკების და სააღრიცხვო ბარათების შეძენა შეიძლება მუშათა მაგიდაში ყოველ დღე დილის 8—1 საათამდის.
7) ყოველგვარი დაწერილებითი ცნობების მიღება შეუძლიათ მხოლოდ ჯგუფების წარმომადგენლებს; თუ ჯგუფის წარმომადგენელი ვერ დააკმაყოფილებს დაინტერესებულ პირებს, მათ ვთხოვთ შემოიტანონ წერილობითი განცხადება, სადაც უნდა იქნეს აღნიშნული დაწესებულება და ჯგუფის ნომერი.
8) ყალბი ცნობების მოწოდებისათვის დამნაშავენი იქნებიან პასუხისგებაში მიცემულნი. მუშათა მაგიდა. (ნ. 5—5)

ქ. ხაშური
კვირას, 15 აგვისტოს 1920 წ. ხაშურის რკ. გზის მუშათა კლუბში. ნაშუადღევის 3 საათზე. დანიშნულია ს. ს. დ. მუშათა პარტიის ხაშურის ორგანიზაციის წევრთა
საზოგადო კრება
განსახილველია შემდეგი კითხვები:
1) მოხსენება კომიტეტისა, 2) განხილვა და დამტკიცება წლიური ანგარიშისა, 3) ახალი კომიტეტის არჩევნები, 4) სარევიზიო კომისიის არჩევა და მიმდინარე კითხვები...
ორგანიზაციის წევრების დასწრება სავალდებულოა. წევრებმა თან უნდა იქონიონ საწევრო ბილეთები; ვისაც არა აქვს გადახდილი საწევრო და დამატებითი გადასახადი—კრებაზე დაშვებული არ იქნებიან...
ს. ს. დ. მ. პ. ხაშურის ორგ. კომიტეტი. (4—2)

მუშათა მაგიდა
აცხადებს წარმოება-დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ ახალი სიები და საალფავიტო ბარათები უნდა შეგროვონ
მთელი ჯგუფის ერთად
ჯგუფის წარმომადგენლებმა, და წარმოადგინონ მუშათა მაგიდაში. ამასთანავე საჭიროა იქნეს წარმოდგენილი ყველა ჯგუფში მოთავსებული წარმოება დაწესებულების ღლერა—სია. ცალ-ცალკე სიები არ მიიღება. (ნ. 3—1)

შაბათს 14 აგვისტოს დილის 8 საათზე მოწვეულია ს. ს. დ. მ. პ.
თფილისის სამაზრო კომიტეტის
არაჩვეულებრივი სხდომა
ვთხოვთ ყველა კომიტეტის წევრებს აუცილებლათ დაესწრონ, ვინაიდან ძლიერ სასწრაფო საკითხი გადასაწყვეტი. კრება კანონიერათ ჩაითვლება რამდენიც არ უნდა დაესწრონ.
(1—1) თფილისის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმი.

პლეხანოვის პროსპ. № 193 ცირკის ახლოს
გაიხსნა
რესტორანი ბაღით
„სიცოცხლის წყარო“
ორი ხელი სადილი 100 მანეთი.
ამხ. გ. აბაშიძე, ს. გიორგაძე, მ. რამიშვილი.
(2629—1—1)

თფილისის პოლიტეხნიკური სასწავლებელი
იღებს თხოვნებს სამექანიკო—წმინდა სამექანიკო და ელექტრო-მექანიკო—და სამშენებლო—გზათა საამშენებლო და სახიროთომოწყობო განყოფილებებზე. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს: 1) 4 კლასის ატესტატი, 2) მეტრიკული მოწმობა, 3) მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ. თხოვნების მიღება გაგრძელდება 1 ენკენისთვემდე. თფილისი, დიდი მთავრის ქუჩა, № 70. (2633—1—1)

გაგრა
კლიმატიური სადგური თფილი ჰავით სარგებლობის მიზნით სრულიად დახურულია ჩრდილოეთის ქარისაგან.
წლის განმავლობაში საშუალო ტემპერატურა არის $15^1/_2{}^0$ ცელ. სეზონი მთელი წლის განმავლობაში გრძელდება.
სასარგებლოა: სისხლ ნაკლულთათვის, გულის და ფილტვების სისუსტით ავადმყოფთათვის, გულის და ფილტვების სისუსტით ავადმყოფთათვის, ნერვებ აშლილთათვის, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ მოსაკეთებელთათვის და საერთოდ მოქანცულთათვის.
სუბ-ტროპიკული მცენარეები, პალმები, მანდარინები, ლიმონები, ციტრონები და საუცხოვო მთის ნაკადულების წყალი.
სამაგალითო კანალიზაცია.
მზად არის 2 სასტუმრო ოთახით. შეკეთებაშია 1 სასტუმრო 60 ოთახით. ოთახი ელექტრონის განათებით და მოსამსახურით დღე და ღამეში ღირს 40 მანეთიდან ზევით; სასტუმროშივე არის ფოსტა-ტელეგრაფი, პირველი ხარისხის სასადილო, საერთაშორისო სამზარეულოს სხვადასხვა სალი საჭმელებით, საზღვარგარეთელი და რუსული ღვინოები ზომიერ ფასებში, ექიმები, აფთიაქი, სამაგალითოდ მოწყობილი გამთბარი ზღვის წყლის, მზის სხივების და ელექტრონის ვანები. Души Шарко.
მხატვრული მიდამოები, მთის ჰაერი, თევზაობა, ნადირობა, გემებით მიმოსვლა. შეკითხვებით გთხოვთ მიმართოთ გაგრის კლიმატიურ სადგურის გამგეობას „გაგრაში“. (ნ. 3—1)

შინა-მრეწველობის განყოფილება
აუწყებს ყველა საფეიქრო სკოლების ინსტრუქტორებს და შინა-მრეწველობის განყოფილების (ყოფილ კუსტარნი კომიტეტის) სკოლების: ოზურგეთის, ცხეთის, ქარელის, საგარეჯოს სწავლა დამთავრებულთ, რომ აგვისტოს 20-დან გაიხსნება და გაგრძელდება 10-ს სექტემბრამდე
საფეიქრო კურსები
მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგის ნებართვით. კურსების პროგრამმა: თეორია, პრაქტიკა, და ყოველგვარ ქსოვილისა და საანგარიშო წიგნების წარმოების შესწავლა, მსმენელთა საჭმელ-სასმელით და აგრეთვე სხვა ხარჯების დაკმაყოფილებას განყოფილება ვერ იკისრებს ხოლო იმ პირთ, რომელთაც ბინა არ ექნებათ ბინას აღმოუჩენს. მუშტაიდი შინა-მრეწველობის განყოფილება. (2632—1—1)

ქიათურის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლისათვის
საჭიროა ორი მასწავლებელი
საზოგადო საგნებისა, ერთი მასწავლებელი გერმანული ენისა. პირობები: ჩვეულებრივი ჯამაგირები, უფასო ექიმი და წამლობა.
თხოვნები უნდა გამოიგზავნოს გამგის სახელობაზე ქიათურაში 8 ენკენისთვემდე. (2639 3—1)

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი
მ. ი. ვოლოხი
და განაახლა მიღება ქალ. შინაგ. და ვენერ. ავათმყოფებისა. მიღება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—7-დის, ფრანგების მოედანი № 33. (2614 - თ.)

მ. წ. შაბათს 7 აგვისტოს გაჯავრებული სახლიდან წავიდა $11^1/_2$ წლის ბავშვი
ვანო მორბედაძე
და მას უკან არ დაბრუნებულა. ტანთ აცვია ჯარის კაცის ტანთსაცმელი, ფერად შავგვრემანი, პირსუქანი, მაღალი და სრული ტანისა. ვსთხოვთ ყველას თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ ან შემდეგში ნახოს სადმე შეგვატყობინოს იმ ადრესით; მე-11-უბანი ბაბინის შესახვევი საკ. სახლი გიორგი მორბედაძისა. (2635—1—1)

## „რისთვის გვდევნიან!“

ამ საინტერესო საკითხს აყენებს გაზეთი „ახალი კომუნისტი“ და, რა თქმა უნდა, თავისებურად აშუქებს მას. საქართველოს მთავრობა სდევნის კომუნისტებს იმიტომ, რომ კომუნისტების პარტია არის მდაბიო კლასების—პროლეტარიატის და გლეხობის—ინტერესების დამცველი, თვით საქართველოს მთავრობა კი გაბატონებული კლასების წარმომადგენელია. ამ აზრს „კომუნისტი“ მეტათ ახირებულათ ასაბუთებს:

„რომელ პარტიას ატყდება უმთავრესად შინაგან საქმეთა სამინისტროს რისხვა? საკმარისია გადავავლოთ თვალი საქართველოს დამოუკიდებლათ არსებობის მოკლე ისტორიას, რომ უდავოთ ვსცნათ შემდეგი დებულება: ერთად-ერთი პარტია, რომელსაც მთავრობა დაუზოგავათ სდევნის, არის ჩვენი, კომუნისტური პარტია. არც ერთი სხვა პარტია ან ჯგუფი არავითარ დევნას და შევიწროებას არ განიცდის“.

კომუნისტური პარტია არ არის ბურჟუაზიული პარტია, აღნიშნავს ქვემოთ „კომუნისტი“ და ასეთი დასკვნა გამოჰყავს: ჩვენ გვდევნიან იმიტომ, რომ ჩვენი პარტიაა სოციალისტური და საქართველოს სათავეში მდგომი პარტია კი არის ბურჟუაზიული. ასეთი თავის სინიდისის დამამშვიდებელი და სხვისი მომხიბვლელია „კომუნისტის“ აზრთა წყობა.

ჩვენ თანახმა ვართ იმისი, რომ კომუნისტების პარტია არ არის ბურჟუაზიის კლასიური ინტერესების გარკვეულად დამცველი პარტია. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ მას ვთვლით გარკვეულად **რეაქციის მატარებელ პარტიად.** ჩვენი პარტია და ჩვენი ქვეყნის დემოკრატია დღიდან რევოლუციის დაწყებისა, მეტადრე დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, დარაჯათ უდგა იმას, რაც დემოკრატიამ მოიპოვა რევოლიუციის გზით. უდიდესი ამ მონაპოვართაგანი, რასაც ჩვენ ვთვლით რევოლიუციის გამარჯვების ერთად-ერთ პირობათ, არის საქართველოს დაცვა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი. ყველა ის პარტიები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრიან, წარმოადგენენ რეაქციონურ ძალას და ჩვენი დემოკრატია გააფთრებით იბრძვის მათთან.

„კომუნისტი“ გვიკიჟინებს: ბოლშევიკების პარტია ერთად-ერთი პარტიაა, რომლის წინააღმდეგაც საქართველოში დევნაა ამართული. ეს მტკნარი ტყუილია. ორი წლის განმავლობაში საქართველო არა ნაკლების გააფთრებით ებრძოდა დენიკინელებს; როდესაც საქართველოს სამხრეთიდან ემუქრებოდა სერვერ-ბეგის შავი ლაშქარი, მთელი ჩვენი დემოკრატია, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა და ბრწყინვალე პასუხი გასცა მტერს. როდესაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იბრძოდა „დაშნაკ-ცუთიუნი“, საქართველოს დემოკრატია ამ პარტიასაც არა—ნაკლების გააფთრებით ებრძოდა, ვიდრე დღეს ებრძვის კომუნისტებს. ყველა ამ პარტიებმა იმდენათ დაიმსახურეს ჩვენი დემოკრატიის რისხვა, რამდენათაც ისინი ემუქრებოდენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

ნათელი და პირდაპირია ის პოლიტიკური გზა, რომელსაც ადგია ჩვენი დემოკრატია: იგი საქართველოს დამოუკიდებლობას იმიტომ კი არ იცავს, რომ ეს კერპად, სამარადისო ღირებულებად მიაჩნია, როგორც ნაციონალისტებს, არა: საქართველოს დამოუკიდებლობა **დღევანდელ ვითარებაში** ერთად-ერთი პირობაა დემოკრატიული წეს-წყობილების შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად და მის საშუალებით სოციალიზმისაკენ ფართო გზის გასაკაფავად. საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობა ჩვენს თვალში უდრის დემოკრატიზმის დამხობას და სოციალიზმის გზის დახშობას. ამიტომ ყოველი პარტია, რომელიც იბრძვის ამ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ჩვენს თვალში არის რეაქციის მატარებელი, რევოლიუციის მტერი და ეს გვაიძულებს ჩვენ ამნაირ პარტიის ვებრძოლოთ ყოველის საშუალებით.

მაგრამ კომუნისტური პარტია ხომ პროლეტარიატის პარტიაა? გვიკიჟინებს „კომუნისტი“. მაშასადამე, „ჩვენ გვდევნის საქართველოს მთავრობა, როგორც პროლეტარიატის პარტიას“. საქმე სწორედ იმაში გახლავთ, რომ **საქართველოში კომუნისტური პარტია ყველაზე ნაკლებ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს პროლეტარიატის პარტიათ.** მთელის ჩვენის პასუხისმგებლობის ქვეშ გადაჭრით ვაცხადებთ: კომუნისტურ პარტიაში ძალიან მცირე ნაწილს შეადგენენ საქართველოს მოქალაქე—მუშები. ამ პარტიის თანამგრძნობთა უმეტესობა არა ქართველები და უცხო სახელმწიფოთა მოქალაქენია. ეს პარტია ეყრდნობა უმთავრესად წვრილ რუს-ჩინოვნიკობას და რუს-ოფიცრობას, რომლებიც რევოლიუციამ და მით გამოწვეულმა სახელმწიფო დაწესებულებათა ნაციონალიზაციამ უადგილოთ დასტოვა. მაშასადამე ჩვენებური კომუნისტები ძველი ბიუროკრატიის თანაგრძნობით არიან ძლიერნი. მეორე ძალა, რომელიც ჩვენებურ კომუნისტებს თავის დასაყრდნობათ გაუხდიათ, არის მათში შეხიზნული არა ქართველი მოსახლეობა, რომელიც ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ნაწილებთან ლამობენ ეროვნულად გაერთიანებას. მაშასადამე ჩვენებური კომუნისტები ნაციონალური შეღლით ყოფილან ძლიერნი. მაგრამ ყველაზე საიმედო ძალა, ურომლისოდაც ჩვენებური კომუნისტები სრულს არარაობას და შეუმჩნეველს ძალას წარმოადგენენ, არის რუსეთიდან მომდგარი სამხედრო ძალა. ამ დღეებში „კომუნისტმა“ ეს თავისი პატიოსანი პირით აღიარა. მაგრამ ეს სამხედრო ძალა არსებითად ისევ ის **იმპერიალისტური** ძალაა, რომელიც მოდიოდა ჩვენზე დენიკინის დროშის ქვეშ. ჩვენი ქვეყნისათვის ამ ორ ძალას შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. ერთიც მტაცებლური მიზნებით იყო გამსჭვალული, არც მეორეა სხვა მიზნებით გამსჭვალული.

ამნაირად **ძველი ბიუროკრატია, ნაციონალიზმი, იმპერიალიზმი**—აი ის სამი იდეა, რომლის მატარებელიც არის ჩვენებური კომუნიზმი. ეს არის მთავარი ლოზუნგები, რომლებიც მათ დროშაზეა დაწერილი. სამივე ეს ლოზუნგი ისე მტრულია საქართველოს პროლეტარიატის და საზოგადოთ მშრომელი კლასის ინტერესებისათვის, რომ საქართველოს მთელი დემოკრატია გააფთრებით ებრძვის ამ ლოზუნგების მატარებელთ.

## საბჭოთა რუსეთი

### VII

### „ბურჟუაზიული სპეციალისტები“

ოქტომბრის რევოლიუციას რუსეთის ინტელიგენციის, თუ მეტი არა, ცხრა მეათედი მაინც, მტრულათ შეხვდა. ეს მტრობა პრაქტიკულათ გამოიხატა, სხვათაშორის, ეგრეთ წოდებულ „საბოტაჟში.“ ინტელიგენცია გაიფიცა, სამუშაოებსა და სამსახურს გაშორდა და ასე ხელი შეუწყო იმ განადგურებას, რომელიც თავის დროზე ბოლშევიზმა დაიწყო.

პირველ ხანებში საბოტაჟს, უეჭველია ქონდა აზრი და მნიშვნელობა. ის პოლიტიკური ბრძოლის ერთი საშუალებათაგანი იყო და ეს იარაღი ინტელიგენციას უნდა ეხმარა. მას პროტესტი უნდა გამოეცხადებია „ერთი მუჭა მოძალადეების“ წინააღმდეგ და აი, ის პასიური ინტელიგენცია, რომელსაც აქტიური ბრძოლის უნარი და ენერგია აკლდა, გაბუტვაში სახავდა თავის გულისწყრომას.

მარა, თუ პირველ ხანებში საბოტაჟს კიდევ ქონდა გასამართლებელი მოტივები, მოტივები წმინდა პოლიტიკური ხასიათის,—შემდეგ მან დაჰკარგა ეს მნიშვნელობა. ამიტომ მისი კიდევ გაგრძელება უდიდეს შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. ცოდნის და კულტურის მატარებელნი ხალხს გაშორდნენ, განზე გადგნენ, ვეებერთელა ქვეყანა კულტურული ძალებით დარჩა ბოლშევიკებს მიუტოვეს და ასე ხელი შეუწყვეს უვიცობის და უკულტურობის თავაშვებულ პარპაშს.

ამას გრძნობს ახლა „საბოტაჟნიკის“ დიდი ნაწილი და თვის საქციელის გამართლებას ბოლშევიკების რეპრესიებში ეძებს. უნდა ითქვას რომ ეს რეპრესიები მართლაც რომ აღმაშფოთებელი იყო. ბოლშევიკები გრძნობდენ ინტელიგენციის ძალას და გავლენას. ამიტომ ისინი ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალებამდე შეუდგნენ მათ წინააღმდეგ ბრძოლას. ინტელიგენტები — წვრილ ბურჟუაზიული ელემენტია, ის ვერ შეურიგდება და შეეწყობა პროლეტარიატის დიქტატურას—ამიტომ შორს ინტელიგენცია, არ ენდოთ და არ გაიკაროთ ისინიო. ეს იყო ხანა ინტელიგენციის წინააღმდეგ ბრძოლისა პროპაგანდისა და აგიტაციის საშუალებით. მოხდა გადატრიალება. ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს ბოლშევიკებმა. ახლა ისინი პროპაგანდა-აგიტაციიდან ადმინისტრატიულ დევნაზე გადავიდენ და ინტელიგენციას „ჩრეზვიჩაიკები“ მიუსიეს. ისტორია მალე სავსებით იტყვის, თუ რა საშინელება იყო „ჩრეზვიჩაიკების“ მუშაობა ამ მხრით.

ინტელიგენცია გატყდა, გულში ნაღველი დაიგუბა, გარეგნულათ მაინც თავის ხვედრს შეურიგდა და შეწუხებულმა ათასგვარი გაჭირვებით საბჭოთა მთავრობის სამსახურს მიმართა. და აი აქ აშკარა შეიქნა თუ რა ბოროტი ნაყოფი გამოიღო ინტელიგენციის წინააღმდეგ ველურ დევნა-აგიტაციას. ინტელიგენცია დაუბრუნდა სამუშაოს, მარა მისი სამუშაოზე დაშვება მეტად საძნელო გახდა, ხშირად შეუძლებელიც. შეუგნებელმა მასამ, რომელიც თვითონ ვერ ერკვევა რთულ საკითხებში და პრობლემებში და რომელსაც მთელი წლების განმავლობაში მოსისხლე მტრათ უსახავდენ მთელ ინტელიგენციას—ახლა ის ახლო აღარ მიიკარა და აი ამ ნიადაგზე არა ერთხელ იჩინა თავი უკმაყოფილებამ. ეს უკმაყოფილება იმდენათ ძლიერი შეიქნა, რომ ლენინს დიდი ენერგია დასჭირდა დაეჯერებია მისივე აღზრდილი მიმდევრები, რომ შეუძლებელია ამ მცოდნე და კულტურული ხალხის გარეშე,—დანგრეული ქვეყნის აშენება და რომ საჭიროა შეიქნას სხვადასხვა პრივილეგიები ინტელიგენტ-სპეციალისტების მისამხრობათ და ასამუშავებლათ.

ბოლშევიზმის მეთაურნი დარწმუნდენ რომ სპეციალისტების გარეშე ის ხალხი, რომელიც დღეს ბოლშევიზმს ამაგრებს, ვერ შექმნის ვერაფერს, მარა ეს სპეციალისტები ხომ იგივე ინტელიგენციაა, ინტელიგენცია კი ბურჟუაზიულ ელემენტათაა გამოცხადებული, მაშასადამე ის მტერია მუშათა კლასის და როგორ გნებავთ რომ ბოლშევიკმა მუშებმა ამ მტრების ხელში გადასცენ კომუნისტური საზოგადოების შენების საქმე! ამის მოგვარება არც ადვილი გამოდგა და ამ ნიადაგზე, როგორც ვთქვით, დიდმა უკმაყოფილებამ იჩინა თავი მეთაურებსა და მასის შორის, აქა იქ საქმე აშკარა კონფლიქტამდეც მივიდა და აი ავტორი ინტელიგენციისადმი ასეთი გახწყობილებისა—ლენინი, იძულებული გახდა ამავე პარტიულ ყრილობაზე რამდენჯერმე აელო სიტყვა და მთელი თავის გავლენა და ავტორიტეტი მოეშველებია, რომ თავის მიმდევრები დაეჯერებია თუ რამდენათ აუცილებელია ამ „ბურჟუაზიული სპეციალისტების“ მიხმობა და მათი საქმეში ჩაბმა. ამ კითხვას ეხება ის თავის პირველ მოხსენებაში და ამბობს: „საკითხი ბურჟუაზიულ სპეციალისტების შესახებ ბევრ უთანხმოებას და შეხლა-შემოხლას იწვევს. ეს კითხვა დგას ჯარში, წარმოებაში, კოოპერატივებში, დგას ყველგან. ეს მეტად სერიოზული საკითხია ჩვენს გარდამავალ ხანაში. ჩვენ შეგვიძლია ავაგოთ კომუნიზმი მხოლოდ მაშინ, როცა მას ბურჟუაზიული მეცნიერების და ტეხნიკის საშვალებით ხელმისაწვდომს გავხდით მასისთვის. და რომ ასე ავაშენოთ ის, ბურჟუაზიას უნდა ჩამოვართვათ აპარატი და მუშაობაში ჩავაბათ ყველა ეს სპეციალისტები. ჩვენ განზრახ გავავითარეთ ეს კითხვა პროგრამაში, რომ ის რადიკალურათ გადავჭრა. ჩვენ კარგათ ვიცით თუ რას ნიშნავს რუსეთის კულტურულათ განუვითარებლობა. ჩვენ მშვენივრათ ვიცით, თუ როგორ ეს უკულტურობა ამცირებს საბჭოთა მთავრობას და ქმნის ბიუროკრატიას. საბჭოთა აპარატი სიტყვით ყველა მშრომელთა ხელმისაწვდომია, საქმით კი წინააღმდეგი ხდება. და ეს არა იმიტომ, რომ ვითომ ამაში დამნაშავე იყოს ჩვენი კანონები. არა, აქ მარტო კანონებში როდია საქმე. აქ საჭიროა მთელი რიგი აღმზრდელობითი მუშაობა. ეს კი არ შეიძლება მოხდეს სწრაფათ კანონების საშუალებით. ეს მოითხოვს დიდ და ხანგრძლივ მუშაობას. ჩვენ გვინდა ახლა ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება. ეს კი შეუძლებელია ბურჟუაზიულ სპეციალისტების გარეშე. ეს უნდა ითქვას და დავიხსომოთ ერთხელ და სამუდამოთ. რასაკვირველია, უმრავლესობა სპეციალისტებისა გაჟღენთილია ბურჟუაზიული შეხედულებებით, მარა ისინი უნდა ჩავაყენოთ ამხანაგური თანამშრომლობის ატმოსფერაში, უნდა ჩავაყენოთ ისეთ პირობებში, რომ ხიდი არ მოგვიტანონ და იმავე დროს უნდა მივსცეთ საშვალება იმუშაონ უკეთეს პირობებში, ვინემ კაპიტალიზმის დროს, რადგან ისინი აღზრდილნი არიან ბურჟუაზიულათ და სხვაფრივ ვერ იმუშავებენ. იძულებით მათი ამუშავება შეუძლებელია, ეს ხალხი მიჩვეულია კულტურულ მუშაობას; ტრანსპორტის დაშლა, მრეწველობის და მიწათ-მოქმედების დანგრევა ძირს უთხრის საბჭოთა რესპუბლიკას თვით არსებობას. ამ შემთხვევაში ჩვენ ენერგიული ზომები უნდა მივიღოთ რომ საქმეში ჩავაბათ ქვეყნის ყველა ძალები. სპეციალისტების შესახებ ჩვენ წვრიმალი ჯიბრიანობა არ უნდა ვაწარმოვოთ. ეს სპეციალისტები არ არიან ექსპლოატატორების მსახურნი. ესენი კულტურული მოღვაწენია, რომლებიც ბურჟუაზიულ წყობილებაში ემსახურებოდენ ბურჟუაზიას და რომელთა შესახებ ყველა ქვეყნის სოციალისტები ამბობდენ, რომ პროლეტარულ საზოგადოებაში ისინი **ჩვენ** (ხაზი ლენინისა) გვემსახურებიანო. ამ გარდამავალ ხანაში ჩვენ უნდა მივცეთ მათ, რაც შეიძლება საუკეთესო პირობები არსებობისთვის. ეს იქნება საუკეთესო პოლიტიკა, ეს იქნება უდიდესი მომჭირნეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გადავარჩენთ რამდენიმე მილიონს, მარა შეიძლება დავკარგოთ იმდენი,

რომ მის ანაზღაურებას მილიარდებიც არ ეყოს. რა სამალავია, სპეციალისტებს ჩვენ ახლა ზედ მეტს ვაძლევთ, მაგრამ სხვაფრივ შეუძლებელია. ეს კითხვა პროგრამაში ჩემის აზრით საკმაოდ არის გარკვეული. საჭიროა მას ერთხელ კიდევ განსაკუთრებული ყურადღებით ხაზი გაუსვათ. საჭიროა გადავჭრათ ის აქ არა მხოლოდ პრინციპიალურათ, არამედ ისე, რომ ყრილობის ყველა წევრები, როცა ადგილებზე წავლენ, მოხსენებებს გააკეთებენ, საერთოდ, მთელ თავის მოღვაწეობაში შესძლონ მისი ცხოვრებაში გატარება“. (ოქმი გვერ. 51—52—53).

როგორც ხედავთ ლენინი ასწავლის თავის მიმდევრებს თუ რას ნიშნავს ცოდნა და სპეციალობა, რომ მიუხედავათ მათი „ბურჟუობისა“ ამ სპეციალისტების გარეშე ვერაფერს ვერ გახდებიან; ის არწმუნებს მისგანვე გზა აბნეულ მიმდევრებს—გული მოიბრუნონ, შეურიგდენ ამ „ბურჟუაზიულ სპეციალისტებს“ და მათი არსებობისთვის „საუკეთესო პირობები შექმნა“..

ეს ამონაწერი, გარდა იმისა, რომ ის დამახასიათებელია ბოლშევიკური რუსეთის აზრთა მდგომარეობისა და პრაქტიკისა, სასარგებლოა ჩვენთვის კიდევ იმით, რომ ჩვენშიაც არის ტენდენცია, თუმცა უმნიშვნელო, სპეციალისტების აბუჩად აგდებისა.

დე, ბოლშევიკების მწარე გამოცდილება—გაკვეთილი და მაგალითი იყოს ასეთებისთვის...

მეგობარი.

## „წითელ“ ადერბეიჯანში.

(გაზეთებიდან)

უკანასკნელ ხანს ადერბეიჯანის არმიაში დეზერტირობა საშინლათ იზრდება. სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარმა ა. კარაევმა გამოსცა ბრძანება, სადაც ნათქვამია: „მე არავითარ ზომებს არ დავერიდები ამ სამარცხვინო მოვლენის აღმოსაფხვრელათ. ყველა ჯარის უფროსებმა უნდა ჩააგონონ თავის ხელქვეით ასკერებს, რომ მშრომელთა მასის დამცველ, მუშათა და გლეხთა ჯარში არ უნდა იყოს დეზერტირობა.

ყველა აფიცრები და ასკერები ითვლებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში და ჯარის ნაწილიდან თავისი ნებით წასვლა უდიდეს დანაშაულათ ითვლება. ასეთ დანაშაულში შემჩნეულნი სასტიკათ დაისჯებიან.

დეზერტირობასთან მებრძოლ ცენტრალურ კომისარიატს და ყველა მის განყოფილებებს ვუბრძანებ უაღრესათ ენერგიულ საშუალებით შეებრძოლონ დეზერტირობას და დამნაშავენი სამხედრო დროის კანონებით დასასჯელათ გადსცენ სარევოლიუციო სამხედრო ტრიბუნალს.

დეზერტირობასთან მებრძოლმა ცენტრალურმა საველე კომისარიატმა დაადგინა: 1) წინადადება მიეცეს სამხედრო ნაწილების უფროსთ და სამ. კომისრებს გააძლიერონ პოლიტიკური მუშაობა ჯარში და ასკერებს განუმარტონ დეზერტირობის ცუდი შედეგები და საბჭოთა მთავრობის მიზნები; 2) გამოცხადდეს ყველა ნაწილებში რომ დეზერტირობის არც ერთი შემთხვევა არ დარჩება დაუსჯელი. დეზერტირების წინააღმდეგ მიღებული იქნება უკაცრესი ზომები და მათ შორის დახვრეტა და მათი ოჯახების ქონების კონფისკაცია. ასეთივე სასჯელი მოელით მათ, ვინც ფარავს დეზერტირებს და ხელს უწყობს დეზერტირობას.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

12 აგვისტო.

### ფრანგული ცნობები.

**დახმარება პოლონეთს.**

„პტი პარიზენის“ ცნობის თანახმად ლოიდ ჯორჯმა და მილიერანმა გადასწყვიტეს დაეხმარონ პოლონეთს სურსათით, ამუნიციით, სამხედრო მასალით და მოაწყონ მეზობელ სახელმწიფოების დახმარებით ბლოკადა. ჯარებით დახმარება სახეში არა აქვთ. ბერლინიდან მოსული დეპეშა იუწყება: ანტანტის წარმომადგენლებმა გერმანიის მთავრობას ჩააბარეს საპროტესტო ნოტა რეკვიზიციის გამო... (გამოტოვებულია)...

**მოკავშირეთა შორის თანხმობა.**

თანახმად რეიტერის დეპეშისა პოლონეთის შესახებ მოკავშირეთა შორის სრული თანხმობაა. ლოიდ ჯორჯი ამის შესახებ საღამოს თემთა პალატაში განცხადებას გააკეთებს. საჭიროა, რომ ეს შეთანხმება პარლამენტმა მოიწონოს.

**პოლონეთის ფრონტზე.**

წითელი ჯარი ვარშავას უახლოვდება და გარს ერტყმის. თუ მოლაპარაკება ბოლშევიკებსა და პოლონელებს შორის ზავზე ხელის მოწერით არ დასრულდა, ვარშავასთან აუცილებლად მოხდება ბრძოლა. თუ მინსკში ბოლშევიკები პოლონელებისათვის მიღებულ პირობებს წარადგენენ, მაშინ რუსეთის ბლოკადას მოახდენს ინგლისის ფლოტი და საფრანგეთის ნაღმოსნები.

**კრასინი და კამენევი.**

ლონდონში მყოფ საბჭოთა დელეგატებს კრასინს და კამენევს წინადადება მისცეს ინგლისი დატოვონ.

### გერმანული ცნობები,

**დამოუკიდებელი სოციალისტები და პოლონეთი.**

დამოუკიდებელი სოციალისტების ორგანოს „ფრაიჰაიტი“ კრიტიკას უკეთებს მემარჯვენე სოციალისტებს, რომლებიც მოუწოდებენ დასავლეთ ევროპის მუშებს და მოითხოვენ დაიცვან პოლონეთის დამოუკიდებლობა, რომელსაც ბოლშევიკების მხრით არავითარი საფრთხე არ მოელის. ბრძოლის ველზე დამარცხება კიდევ არ ნიშნავს პოლონეთის დამოუკიდებლობის დაღუპვას, არამედ ეს ნიშნავს იმპერიალისტურ ყაჩაღების [illegible]

**ბოლშევიკები მემელთან და დვინსკთან**

ლონდონი 2 აგვ. მემელი, რომელსაც ბოლშევიკები 50 ვერსით დაუახლოვდენ ფრანგების ძლიერ რაზმს უჭირავს. გაზეთის ცნობით გენ. ბრუსილოვმა დვინსკის წინ თავი მოუყარა საგრძნობ ძალებს.

**უცხოელთა წინააღმდეგ**

ვაშინგტონი 25 ივლ. თანახმად სანფრანცისკოდან მიღებულ ცნობებისა, ადგილობრივმა მმართველმა პირებმა გადასწყვიტეს ბოლშევიკები და საერთოდ არასასურველი უცხოელები ოლქიდან გააძევონ. საკითხი არა სასურველ უცხოელების გაძევების შესახებ სხვა ოლქიდანაც წამოიჭრა.

**საფოსტო დამოკიდებულების გაუმჯობესებისათვის**

ლონდონი. 1 აგვ. ფოსტა ტელეგრაფის წარმომადგენელთა საერთაშორისო კონფერენცია დასრულდა. ამ კონფერენციის გამო საფოსტო დამოკიდებულება ბრიტანეთისა და საბერძნეთს შორის გაუმჯობესდა. მიღებულია ზომები ევროპასა და აღმოსავლეთს შორის საფოსტო დამოკიდებულების გასაუმჯობესებლად.

**ბულგარეთის საზღვრებზე.**

პარიზი აგვ. 3. „ტანი“ იუწყება, რომ ბულგარეთის საზღვარზე გროვდება საგრძნობი სამხედრო ძალა.

**ანტიბოლშევიკური ძალების კავშირი.**

პარიზი. აგვ. 4. სპაში მოხდა თათბირი გრაბსკისა და უკრაინის სოც.-ფედერალისტთა კომიტეტის თავმჯდომარის მ. ალექსინსკის შორის. ამ თათბირზე გრაბსკიმ განაცხადა: აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ყველა ანტიბოლშევიკურ ძალთა შორის სოლიდარობის დამყარება. სანამ რუსეთში ბოლშევიზმი იარსებებს, პოლონეთი ყოველთვის საფრთხეში იქნება. მხოლოდ ანტი-ბოლშევიკური კავშირი დაამყარებს სამოქალაქო მშვიდობიანობას პოლონეთსა და რუსეთშიო.

**ბონარ-ლოუს განცხადება.**

ლონდონი, აგვ. 1. „ტაიმსის“ ცნობით ბონარ-ლოუს თემთა პალატაში შემდეგი განუცხადებია: ბრიტანეთის მთავრობა აცხადებს, რომ იგი არაა წინააღმდეგი საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენისა და ამის გამო საბჭოთა რუსეთის დელეგატების დაბრუნებას უნდა მივესალმოთ. საბჭოთა რუსეთს არა ერთხელ განუცხადებია თავის დეკლარაციაში, რომ ის მზათ არის ზავი შეკრას თავის მეზობელ სახელმწიფოებთან. ინგლისის სურვილია განაღდდეს ეს სიტყვები. სწორეთ ამისთვის არის ლონდონში მოწვეული კონფერენცია. ამ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს გარდა საბჭოთა რუსეთისა, პოლონეთის, გალიციის და ციმბირის წარმომადგენლები. ინგლისის მთავრობა აცხადებს, რომ იგი არ განასხვავებს დელეგატებს. ბრიტანეთი თავის მხრივ ძველ შეურყეველ მოთხოვნილებებს წამოაყენებს. ჩვენ მომხრე ვიქნებით საბჭოთა რუსეთისა და ვრანგელს შორის დროებით ზავის ჩამოგდებისაც, დროებით ზავის პირობათ უნდა ჩაითვალოს ვრანგელის ჯარების დახევა ყირიმის საზღვრებისაკენ. ყირიმი გამოცხადდება ნეიტრალურ ზონათ ვრანგელი მოწვეული იქნება ლონდონში. მისი ჯარის მომავალი მდგომარეობისა და ამ ჯარისაგან დაკავებულ ტერიტორიის გამოსარკვევათ მიზნათ არა გვაქვს ვრანგელი კონფერენციაზე მოვიწვიოთ, როგორც კონფერენციის ოფიციალური წევრიო.

## მოლაპარაკება ლონდონში

ინგლისის მისიამ მიიღო რადიო ინგლის-რუსეთის მოლაპარაკების შესახებ. დღეს დილით განახლდა გაისში კონფერენციის სხდომები. სხდომის ანგარიში თავის დროზე მიიღეს გენ. ვილსონის და ამირბარ ბიტისაგან: სხდომა საფრანგეთის პრემიერის საფრანგეთში გამგზავრების შემდეგაც გრძელდებოდა, ლოიდ ჯორჯი ლონდონს წავიდა 6 საათზე დანიშნულ სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად, თუმცა ეს სხდომა საბჭოთა რუსეთისაგან ახალი ცნობების მიღების გამო უფრო გვიან მოხდა.

„ევენინგ სტანდარდი“ იუწყება: ლოიდ ჯორჯმა და მოკავშირეთა სხვა წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს იმოქმედონ მტკიცედ და ზავის მოსაპოვებლად მიიღონ გადამწყვეტი ზომებიო. იმავე გაზეთს ავტორიტეტულ წყაროებიდან გაუგია, რომ ლენინი და მისი ამხანაგები იმყოფებიან წითელი ჯარის ხელმძღვანელთა ხელში, რომელთაც გადაწყვეტილი ქონიათ ფრონტზე გამარჯვების შემდეგ მოსკოვი დაიკავონ.

თემთა პალატაში ხვალ ლოიდ ჯორჯი მოხსენებას გააკეთებს. მისი სურვილია დაუმტკიცოს ინგლისს, რომ ზავის მოსაპოვებლად ყოველი ზომაა მიღებული. (სდს).

## სომხეთი

**სომხეთი და ქემალი**

სომხეთის პრემიერმა ა. ოლანჯანიანმა თავის დეკლარაციაში, რომელიც წაიკითხა სომხეთის პარლამენტის 2 აგვისტოს სხდომაზე, როდესაც შეეხო საგარეო პოლიტიკას, სხვათა შორის, შემდეგი განაცხადა; „როდესაც ჩვენ, თანახმად ადგილობრივ მცხოვრებთა სურვილისა ოლთისი დავიჭირეთ, გავმაგრდით ამ რაიონში და საშინლათ დავამარცხეთ ოსმალთა ჯარები, ქემალ ფაშის საგარეო საქმეთა „კომისარმა“ ბექირ სამიმ მოლაპარაკება გამართა სომხეთის მთავრობასთან ამ რაიონიდან ჯარების გაწვევის შესახებ. ბექირ სამი ლაპარაკობს ბრესტ-ლიტოვსკის, ტრაპიზონის და ბათომის ხელშეკრულებათა დარღვევაზე, მეორე მხრით კი ლაპარაკობს სომხეთ ოსმალეთის მეგობრობაზე. აცხადებს, რომ ოსმალონი არას დროს არ ყოფილან სომხეთის მტრები და წინადადებას იძლევა ოლთიდან [illegible]

## ჰრ. მ. ორგაძის საბოლოო სიტყვა ბიუჯეტ. შესახებ

წარმოთქმული დამფ. კრების 7 აგვისტოს სხდომაზე.

ბატონებო! კამათი გაგვიგრძელდა, თქვენც მოიღალეთ, მაგრამ მე, როგორც მომხსენებელმა, პასუხი უნდა გავსცე ორატორების ზოგიერთ დებულებებს. ორატორების მიერ ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული შენიშვნები შეეხებოდენ ბიუჯეტის ფორმალურ მხარეს მის შემოსავალს, გასავალს და ფინანსიურ-ეკონომიურ პოლიტიკას. მეც ამ რიგზე გავსცემ პასუხს.

მოსმენილმა კამათმა დამარწმუნა, რომ ბიუჯეტის შესწავლას ბ-ნმა დეპუტატებმა მეტი დრო და ყურადღება უნდა მოანდომონ. აქ დეპ. თევზაიამ თქვა, რომ ბიუჯეტი არის გეგმა ციფრებით დაწერილი: ამ ციფრებს წაკითხვა უნდა, ამ წაკითხვისთვის კი საჭიროა, რომ დეპუტატი ახლო იდგეს საბიუჯეტო კომისიის მუშაობასთან. საჭირო იქნება, რომ განსაკუთრებით ცხადდებოდეს დრო კომისიის იმ სხდომისა, როდესაც ბიუჯეტი ირჩევა, რომ ყველა ფრაქციამ გამოგზავნოს იქ სამუშაოთ ის პასუხისმგებელი ორატორი, რომლებიც ბიუჯეტის განხილვის დროს კამათში მონაწილეობას იღებენ. შემდეგში მუშაობა ასე უნდა დავაყენოთ და მაშინ ვფიქრობ ადგილი არ ექნება ბევრ იმ გაუგებრობას, რომელიც ჩვენ აქ მოვისმინეთ. კომისიას უსაყვედურებენ რომ ამ ბიუჯეტში მოთავსებულია 7 თვის გაწეული სრული ხარჯი და არა მთელი წლის.

ამის მთქმელმა რომ იცოდეს კომისიის მუშაობის პირობები, ამას არ იტყოდა. საბიუჯეტო წელი დასრულდა 31 მაისს. კომისიას რომ განეზრახა ყველა გაწეული ხარჯი 31 მაისამდის ბიუჯეტში მოექცია, მაშინ ბიუჯეტს ჩვენ ვერ შევადგენდით კიდევ დიდ ხანს. თქვენ, ბატონებო, ყოველ დღე იღებდით ახალ-ახალ შტატებს და მომატებებს და თუ კომისია დაისახავდა მიზნად ყველა ხარჯების შეტანას ბიუჯეტში, მაშინ ის 31 მაისამდის ვერც ერთ ციფრს ვერ დასწერდა ბიუჯეტში. აი მაგალითისათვის: 30 მაისს 1919 წელს თქვენ მიიღეთ კანონი „რესპუბლიკის რკინის გზის კატეგორიის გარეშე მყოფ აგენტების ჯამაგირების მომატების შესახებ.“ ეს მომატება სავსებით სცვლის ბიუჯეტის ყველა ციფრებს. მაშასადამე ჩვენ ბიუჯეტის შედგენა მხოლოდ 31 მაისიდან უნდა დაგვეწყო და დღეს ის ნახევრადაც შედგენილი არ იქნებოდა. აღნუსხვა მისი, თუ ფაქტიურად რამდენი დაიხარჯა წლის განმავლობაში, ეს კონტროლის საქმეა, კომისიამ კი ივარაუდა. შეადგინა ბიუჯეტი და წარმოადგინა, რომ მიზნისათვის მიეღწია, შეჩერდა 1 იანვ. 1920 წლისა და მიიღო მხედველობაში ამ დრომდის ყველა მომატებები.

ასეთივე გაუგებრობაზეა აგებული ლეო შენგელაიას შენიშვნა, რომ რატომ ბიუჯეტში არ შედის თავდაცვისათვის გადადებული თანხები. ეს თანხები თქვენ პირველი იანვრის შემდეგ მიიღეთ და, რასაკვირველია, ის აქ არ შევიდოდა:

უსაფუძვლოა საყვედური, ვითომ საბიუჯეტო კომისია ვერ უწევს კარგ მეთვალყურეობას ჩვენს ფინანსებს, რადგან მომარაგების სამინისტრო არ შედის ბიუჯეტში. მე მოგახსენეთ პირველ ჩემ მოხსენებაში, რომ კომისია ეცადა ეს სამინისტროც ყოფილიყო ამ ბიუჯეტში, ამის შესახებ მას ქონდა მიწერ-მოწერა სამინისტროსთან, პირადი მოლაპარაკებაც, მაგრამ სამინისტრომ ვერ მოასწრო ხარჯთ-აღრიცხვის დამზადება, როგორც ახალმა ორგანიზაციამ; ოპერაციების შესახებ კი კომისიამ მიიღო ცნობები და მოგახსენათ. კომისია აღიარებს, რომ ამ შემთხვევაში ბიუჯეტის მთლიანობა დარღვეულია და აწი მას ადგილი არ უნდა ქონდეს. მე ეს მოგახსენეთ და რა საჭირო იყო ამ დებულების გარშემო ამდენი ტრიალი.

ბურჟუაზიული სახელმწიფოებიც კი წინდაწინვე იხილავდენ ბიუჯეტსო, სთქვა ლეო შენგელაიამ, ჩვენში კი წინააღმდეგ არისო.

მე აღვნიშნე ჩემ მოხსენებაში, რომ ეს არანორმალურია, მაგრამ დღევანდელ არანორმალურ პირობებში წინდაწინვე ბიუჯეტის განხილვას ვერ ახერხებს ვერც ერთი სახელმწიფო. აქ ზოგიერთები ძალზე ეარშიყებიან ბოლშევიკებს, და აი მათაც ვერ შესძლეს ეს, 1918 და 1919 წლის ბიუჯეტი მათ განიხილეს მის შემდეგ, როდესაც გავიდა საბიუჯეტო ხანა.

ჩვენ მთავრობამ ძველი კვიტანციები წარმოგვიდგინაო, ბრძანეს აქ. ესეც დიდი გაუგებრობაა. მთავრობას არავითარი კვიტანციები არ წარმოუდგენია, ყველა ციფრები ამ ბიუჯეტში მოთავსებული თქვენ მიერ არის მიღებული და გაღებული. ერთი ფარაც მთავრობის ინიციატივით გაღებული არ არის; ჩვენი ბიუჯეტი უაღრესად დემოკრატიულია მით, რომ ყოველი კაპეიკი დამფუძნებელი კრების მიერ არის გაცემული, აწონილ დაწონილი საჭიროება და შემდეგ დადასტურებული.

უნდა შევჩერდე მთავრობის უფლებაზე პარაგრაფის ფარგლებში კრედიტის სარგებლობის შესახებ, რადგან ეს სადაოდ გახადეს

რაც უფრო სახელმწიფო მეურნეთ გამოვა, რაც უფრო ის აღებ-მიცემობაში ჩაერევა,—მით უფრო მისი უფლება კრედიტით სარგებლობისა უნდა გაფართოვდეს. ერთი გარემოება მეორეს იწვევს. რაკი მთავრობა რამდენიმეთ მაინც მეურნეობას ეწევა, არ შეიძლება ამ მეურნეობისათვის საჭირო თანხის სრული სისწორით გამოანგარიშება, შეუძლებ- [illegible] გან ეს უტყუარი დებულებაა. აქ ლ. შენგელაია შეეცადა ამ დებულების გაბათილებას და ამის საბუთად ის მოიყვანა, რომ განსაკუთრებულ რაზმზე ხარჯი არ არის ასეთი ხარჯიო. მე ეს არც მითქვამს, 50 პროცენტში არ შედის არც ადმინისტრაციის, არც მართვა გამგეობის ხარჯები; აქ აღებულია წმინდა კულტურულ-სამეურნეო ხარჯები, რომელსაც სხვადასხვა უწყება ეწევა. პირველ ჩემს მოხსენებაში მე მოვიყვანე ამის დამამტკიცებელი ციფრები, აქ ამის საწინააღმდეგო სხვა ციფრები არავის მოუყვანია. (ღლონტი: ასე ანგარიში არ შეიძლება). კარგი იქნებოდა, გეჩვენებინათ, თუ როგორ შეიძლება ანგარიში, თქვენ, ორჯერ თითო საათი ილაპარაკეთ, ამის შესახებ კი არაფერი გითქვამთ მიტომ, რომ ვერაფერს იტყოდით.

ჩვენ დიდ ხარჯებს მით ხსნიდენ ზოგიერთი ორატორები, რომ არ არსებობს კონტროლი. აქ კონტროლი არაფერ შუაშია, ყველა თანხები დამფ. კრების მიერ არის გაცემული. ხოლო რაც შეეხება კონტროლის მოქმედებას, როგორც საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ და მომხსენებელმა, უნდა განვაცხადო, რომ ის საყვედურები, რომელიც აქ ითქვა კონტროლის შესახებ, უკვლად უსაფუძვლოა. ყოველ ცნობას კონტროლი დაუყონებლივ აწვდიდა კომისიას, არ ყოფილა შემთხვევა, რომ რამე ცნობა საიდუმლოების ან სხვა რაიმე მიზეზის გამო კონტროლს კომისიისათვის არ მიეწოდებია. წარმოდგენილი ბიუჯეტი კონტროლს გასაკვირველი სიბეჯითით და მუყაითობით შეუსწავლა და ყველა თანხების შესახებ დასაბუთებული შენიშვნები წარმოადგინა კომისიაში. ბევრი შრომა და ცოდნაა ამ შენიშვნებში ჩაქსოვილი. მხურვალე მონაწილეობას ბიუჯეტის დამუშავებაში იღებდა, კონტროლის გარდა, ფინანსთა უწყების წარმომადგენელ-საბიუჯეტო განყოფილების დირექტორი ბ. ალ. კანდელაკი.

იყო შემთხვევები, როდესაც კონტროლი ვერ ცნობდა ამ თუ იმ თანხის მოთხოვნას დასაბუთებულად, და წერილობით აცხადებდა, რომ თუ უწყება კომისიაში დაასაბუთებდა, მაშინ ის წინააღმდეგი არ იქნებოდა. ასეთი შემთხვევა იყო თოფხანის ხარჯების შესახებ, სა- [illegible] ჩვეულებრივ ენერგიას და ცოდნას გამოიჩენს.

სახელმწიფო კონტროლმა წარმოუდგინა მოხსენება თავის მოქმედების შესახებ დამფუძ. კრებას, ეს მოხსენება ეხება 1918 წელს. მას არ შეეძლო წარმოედგინა იმ წლის ბიუჯეტის აღსრულება, რომელსაც ჩვენ ეხლა ვიხილავთ კონტროლი უშუამავლოთ დამფუძნებელ კრებას ექვემდებარება და მას ისეთი რამ უნდა მოვთხოვოთ, რაც შესაძლებელია. აქ ისარგებლეს მცირე კომისიის აქტებითაც.

კონტროლის მოხსენების და მცირე კომისიის აქტების შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ მოხსენებას და აქტებს აუცილებლად თან უნდა ახლდეს მთავრობის განმარტება; ეს განმარტება და მოხსენება ერთად უნდა ურიგდებოდეს დამფ. კრების წევრებს და მაშინ ბევრ გაუგებრობას ადგილი არ ექნება. მცირე საბიუჯეტო კომისია ასე იქცევა: მან მოახდინა რევიზია მიწათ-მოქმედების და სამხედრო ზოგიერთ დაწესებულებებში, ეს აქტები მთავრობის განმარტებით წარმოედგინება დამფ. კრების პრეზიდიუმს, მანამ კი ეს აქტები მხოლოდ ცნობებს შეიცავენ და არა კომისიის მოხსენებას.

კონტროლის მოხსენებასაც თან რომ ხლებოდა მთავრობის მოხსენება, ამდენი ლაპარაკი აქ არ იქნებოდა. აწი ჩვენ ეს წესი უნდა შემოვიღოთ. კომისია ასე მოიქცა ხაზინაში და ექსპედიციაში მომხდარი რევიზიის შესახებ, იქ კომისიამ მოისმინა ახსნა-განმარტება უწყების მეთაურის და თავის დასკვნა წარუდგინა პრეზიდიუმს. განა გაუგებრობა არ არის, როდესაც ბათომის ევაკუაციის დროს დეფექტებს დანაშაულობაში უწერენ მთავრობას? ჩვენ მთელი ოლქი დავკარგეთ მაშინ, საშინელი უბედურება თავს დაგვატყდა და ნუ თუ ევაკუაციის დროს ყველაფერი რიგზე იქნებოდა? მაგრამ აქ არ არის მიღებული მხედველობაში ის ჯოჯოხეთური პირობები რომელშიაც ჩვენ მაშინ ვიმყოფებოდით. კომისიას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს ამ პირობებს.

კონტროლის მოხსენებას მთავრობის განმარტება რომ თანხლებოდა, განა აქ ამდენს ილაპარაკებდენ ბორჯომის პრობკებზე? მაშინ როდესაც ოსმალოს ურდოები აწყურთან იდგენ, ჩვენი ჯარები ბორჯომის ბაღებში, სასტუმროებში და მის მიდამოებში დაბანაკებული იყო. როდესაც გარშემო პანიკა და შიშიანობა იყო, ამ დროს განა გასაკვირველი არ არის, რომ მოხერხდა პრობკების გაყიდვა და არა გადაყრა, გატაცება? ეს გაყიდვა არსებითად ბორჯომის მუშებმა მოახდინეს, რადგან მათ ჯამაგირები ერგებოდათ, უწყებამ—კი დაადასტურა. დეფექტები დიდ უნდა უჩვენოთ, მაგრამ ღირსებაც არ უნდა დაივიწყოთ. არ უნდა დაივიწყოთ, რომ ბორჯომის მამულში გარდა პრობკებისა, იყო სასახლეები ძვირფასი ნივთებით სავსე. მერე, განა უსამართლობა არ იქნება რომ არ ავღნიშნოთ ის, რომ ეს სასახლეები დღემდის შენახულია როგორც წყლით სავსე ჭიქა! (ხმები: იქ ყველაფერი გაყიდულია) ეს არ არის მართალი, მე ჩემი თვალით არა ერთხელ დამითვალიერებია ეს განძი და ყოველთვის მიკვირდა, თუ როგორ შევძელით ამ სასახლეების და მთელი რიგი დაწესებულებების შენახვა ასე ხელუხლებლად. სამართლიანობა მოითხოვს ავღნიშნოთ დეფექტები, მაგრამ ნუ თუ უწყების მთელი შრომა წყალს უნდა გავატანოთ და არაფერი დავისწავლოთ. განა ამას სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს? არა.

აგრეთვე გაუგებრობაზეა დამყარებული ის შენიშვნები, რომ ქართულ კორპუსის არსებობის დროს იქ ქონების პატრონობის საქმე არ იყო კარგად დაყენებულ.

თქვენ რომ მთავრობის განმარტება მოგისმინათ კონტროლის მოხსენებასთან ერთად დაინახავდით, რომ იმ დროს, როდესაც ჩვენში ნაციონალური კორპუსები არსებობდა, ეს იყო ხანა უპატრონოთ დარჩენილი ქონების შეგროვებისა და ტაცეობისა, როდესაც ყველა ეროვნება ამიერ-კავკასიისა ცდილობდა მეტი რგებოდა. ამ ხანაში საშინელ მძიმე პირობებში გვიხდებოდა ამ ქონების დაგროვება და შენახვა. მახსოვს, „ცარსკიე კოლოდცი“-ში ერთი სამხედრო ნაწილის ქონებას ადგილობრივი მცხოვრებნი დაეპატრონენ. როდესაც მათ გამოვგლიჯეთ ხელიდან, გზაზე მომავალ ფურგუნებს სხვა სოფლები დახვდენ, ქონება ჩვენიაო და თოფ-ზარბაზნების საშუალებით ჩამოვიტანეთ ეს ქონება თფილისში და ასე მრავალ სხვა ადგილს, მანგლისში, მუხრავანში, გომბორში და სხვა და სხვა. განა ტრაპიზონის ისტორია არ გახსოვთ? ეს კარგად იცის დეპ. დადიანმა, რომელიც თავის რაზმით იყო იქ და უპატრონოთ ქონების ნაწილი გამოიტანა.

აი ასეთ პირობებში ყოვლივე ფორმალობის მოთხოვა შეუძლებელია. ასეთ პირობებში ბევრი ქონება მაინც შეკრებილ და მოვლილ იქნა და მით ჩვენ დღემდის თავდაცვას ვაწარმოებდით.

საფინანსო კომისია თვალ-ყურს ადევნებს უწყებების მოქმედებას, ხშირად სთხოვს მათ ახსნა-განმარტებას კრედიტის გამოთხოვის დროს და უნდა გავაცხადო, რომ ყოვლად მიუღებელია ის დებულება, რომელიც ბ. თ. ღლონტმა წარმოსთქვა და რომელიც მე სიტყვასიტყვით ჩავიწერე: „არც ერთი უწყება არ არის ისე მოწყობილი, რომ კრიტიკის მინიმუმს გაუძლოსო“. ეს უსამართლობაა. მართალია, უწყებებს აქვს დეფექტები, არ შეიძლება არ იყოს, მაგრამ ყველაფრის დავიწყება, დადებითი მხარეების არ აღნიშვნა, არ შეადგენს ჩვენს მოვალეობას; წინააღმდეგ, ჩვენ ერთიც და მეორეც უნდა აღვნიშნოთ, არა იმიტომ რომ რომელიმე პიროვნებას ჩირქი მოვცხოთ, არამედ მიტომ, რომ ამას მოითხოვს საქმის ინტერესი.

მე პირველ მოხსენებაში აღვნიშნე, რომ ჩვენ მართვა-გამგეობას აქვს დეფექტები, რომ ჩვენ უნდა ვეცადოთ მის გამოსწორებას.

ბ-ნებო! მთავრობა მართავს სახელმწიფოს მოხელეების საშუალებით. ამ მოხელეების კეთილ-სინდისიერებაზეა დამოკიდებულ ბევრი რამ. ჩვენ გვყავს უმეტესად ძველი მოხელეობა, მათ არ აქვთ ჯერჯერობით ახალი ტრადიციები, ისინი ძველი ტრადიციებით სულდგმულობენ. ძველი მოხელის ტრადიცია კი იყო: საქმის ისე მოკვარახჭინება, ანგარიშების ისე შედგენა, რომ ხელის მოსაკიდებელი არაფერი ყოფილიყო. ეს ტრადიცია, სამწუხაროდ, ჯერ ჩვენში არსებობს, და მას უნდა ვებრძოლოთ, მოხელეობა თავის სიმაღლეზე უნდა ავიყვანოთ.—მე მოგახსენებთ ერთ ასეთ ტრადიციის მაგალითს: ჩემი მთავრობაში ყოფნის დროს მე ერთი სამხედრო ნაწილი ჩვეულებრივად დავათვალიერე, ვნახე ჯარისკაცებიც, გავიგე მათი რაოდენობა. მეორე დღეს ამ ნაწილის ნახვის გამო ბრძანება გამოვეცი, იქ იყო აღნიშნული ღირსება და ნაკლი და რიცხვი ჯარისკაცებისა—სულ 349. გავიდა და მე, როგორც მცირე კომისიის წევრი, მივედი სხვებთან ერთად ამ ნაწილში; მომაგონდა ჩემი ბრძანება, შევადარე ბრძანების რიცხვი—349 ჯარისკაცის იმ რიცხვს, რომელიც იმ დღეს გაეწერათ ნაწილის წიგნებში, და აღმოჩდა, რომ იმ დღეს, როდესაც მე ჩემი თვალით ნაწილში ვნახე და დავადასტურე 349 ჯარისკაცი, წიგნებში გაეწერათ, რომ ვითომდა იმ დღეს მათ მისცეს საჭმელ-სასმელი 714 კაცს, ე. ი. 365 მეტს, რითაც ერთი დღის განმავლობაში საგრძნობი ზიანი ხაზინას მიაყენეს.

ამ ფაქტმა საშინლად ამაღელვა. ამაღელვა ასეთმა უსინდისობამ, კომისიამ მაშინვე მიიღო ზომები, მაგრამ სამწუხარო ფაქტი ფაქტათ რჩება.

აქედან დასკვნა: ყველამ თავის მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე უნდა პირნათლათ შეასრულოს, მაშინ მართვა-

გაყვანილ იქნას სომხეთის ჯარი და შემდეგ გაიმართოს მოლაპარაკება. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ კეთილ მეზობლურ ურთიერთობის დასამყარებლად არ უნდა ლაპარაკობდეს ბრესტ-ლიტოვსკის, ტრაპიზონის და ბათომის ხელშეკრულებათა სახელით, ამისთვის კი საჭიროა სხვა ენის გამონახვა და თუ ეს ენა თავისი ნებით არ გამონახეს, მას გამონახავს ჩვენი მამაცი ჯარი (მხურვალე ტაში). („ს.")

ერევანი, აგვისტოს 11. ერევანში მიღებულ სარწმუნო ცნობების მიხედვით „არაჩი" იუწყება: ზანგეზურის რაიონში მდგომმა სომხეთის ჯარებმა დასტოვეს გერუსი და მტრის ბევრათ უფრო ძლიერ ძალების შემოტევის გამო დასავლეთისკენ დაიხიეს.

იმავე ცნობით ნახიჩევანის თათრებს მოლაპარაკება ქონიათ სომხეთის მთავრობასთან იმ მიზნით, რომ რუსის ჯარებისათვის საშუალება და დრო მიეცათ სომხებზე თავდასასხმელად მომზადებისა. (დ. ს.)

ერევანი, აგვისტოს 10. სომხური პრესის ცნობით სომხეთის ჯარის მთავარსარდალმა გენერალმა ნაზარბეკოვმა საბჭოთა ჯარების უფროსს მის ულტიმატუმზე ასეთი პასუხი გასცა: სომხეთის ჯარი იცავს რესპუბლიკას გარეშე მტრის შემოჭრისაგან და შინაურ აჯანყებისაგან. ეს ელემენტები სახელმწიფოს მთლიანობას ემუქრებიან და მათთან ბრძოლა აუცილებლობას წარმოადგენს. ამ მოვალეობას სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები ასრულებს. აზერბეიჯანისა და ოსმალეთის ჯარები იბრძვიან სომხეთის საზღვრებში და ბუნებრივია, თუ მას სომხეთის შეიარაღებული ძალები წინააღმდეგობას უწევენ. საბ. რუსეთის ჯარების უფროსის განცხადება ღარიბთა ოჯახების დარბევის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება. დღემდი სომხეთის ჯარს არც ერთი სოფელი არ გაუნადგურებია.

## ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. სოც. დემ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა.**

◆ **მფრინავ მაყაშვილის დაღუპვა.** აგვისტოს 11 დაახლოვებით საღამოს 7 საათზე აეროდრომზე სანიმუშო ფრენის დროს დაიღუპა საავიაციო როტის როტის უფროსის თანაშემწეობის დროებით აღმასრულებელი სამხედრო მფრინავი მაყაშვილი. საავიაციო როტა შემდეგ დაწვრილებით ცნობებს იძლევა მფრინავ მაყაშვილის დაღუპვის შესახებ: მაიორი მაყაშვილი აგვ. 11 დაახლოვებით 7 საათზე მოტორის გასასინჯავად გამოფრინდა „სოპვიჩკემელი"-ს სისტემის ინგლისურ გამანადგურებელზე. იგი აფრინდა აეროდრომზე და სად. ნავთლუღის თავზე ნაკვთის გაკეთების დროს დაახლოვებით 25 მეტრის სიმაღლიდან ძირს ჩამოვარდა; წყოსი წინა ნაწილით მიწას დაეჯახა და დაამსხვრია, როგორც სჩანს განსვენებულმა ყოველივე ღონე იხმარა წყოსის გადასარჩენათ, და მას თავი შესწირა. თავდადებული მფრინავი გამოიტანეს წყოსის ნამსხვრევებიდან; მას ორივე ფეხი და გულის ფიცარი დამტვრეული ჰქონდა. ის გრძნობაზე არ მოსულა და 5 წუთის შემდეგ გარდაიცვალა ამხანაგების ხელზე.

◆ **სახელმწიფო ბანკის საბჭოს წინადადება** ბანკის ძირითად თანხის გადიდების შესახებ მთავრობამ დაამტკიცა. დადგენილია აგრეთვე დასაზღვევ ფონდის შესაქმნელად ბანკს 50 მილ. მან. მიეცეს. (დ. ს.)

◆ **სახელმწიფო მოსამსახურეთა** დღიურების და საგზაო ხარჯების გადიდების საკითხის განხილვის შესახებ მთავრობამ დაადგინა: ეს საკითხი გაირჩეს მაშინ, როდესაც საერთოდ ჯამაგირების მომატების საკითხი გაირჩევა. (დ. ს.)

◆ **სოხუმში მუშათა მაგიდა** დაარსდა. (დ. ს.)

◆ **მუშათა მაგიდის გამგე რუსთა ეროვნულ საბჭოს** აუწყა, რომ მუშათა მაგიდა მხოლოდ საბჭოს მოსამსახურეებს და მუშებს მიაწოდებს სურსათ-სანოვაგეს, რისთვისაც საჭიროა სათანადო სიების წარდგენა. (დ. ს.).

◆ **კანონ-პროექტი ღვინის შესახებ.** მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობის საბჭომ შეიმუშავა კანონ-პროექტი ყურძნის ღვინის შესახებ. კანონ-პროექტი გარკვევით განსაზღვრავს ყურძნის ღვინის მნებას და ჩამოთვლის იმ ელემენტებს, რომელთა ხმარებაც შეიძლება ღვინის გასაუმჯობესებლად. პროექტი წინადადებას იძლევა დაჯარიმონ 10 ათასი მანეთიდან 100 ათას მანეთამდე ის პირები, რომლებსაც დაუმტკიცებენ ღვინის რიოშებას. მერიოშეებს ღვინოს წაართმევენ. თუ დამნაშავე ხელმეორედ ჩაიდენს დანაშაულს, იგი ციხეში უნდა ჩაისვას და ღვინით ვაჭრობა სამუდამოდ აეკრძალოს. (დ. ს.).

◆ **შალვა დადიანის იუბილე.** 8 აგვისტოსათვის დანიშნული 25 წ. სამწერლო და სასცენო მოღვაწეობის იუბილე, რომელსაც უხდის ქ. სენაკი, გადადებულია შაბათ 14 აგვისტოსათვის. ერობას და ქალაქის თვითმართველობას გადაუწყვეტია იუბილიარს მიართვას სამოსახლო ადგილი ქ. სენაკში.

◆ **დუშეთიდან** შემდეგი დეპეშა მივიღეთ: 10 აგვისტოს სოფელ ახშირის ხევზე, დუშეთის მაზრაში, მილიციამ შეიპყრო ცნობილი ყაჩაღი ნიკო ჩარაშვილი, მეტეხში (გორის მაზრაში) მცხოვრები, რომელიც ორი წელიწადი თარეშობს, და მრავალი ბოროტმოქმედება აქვს ჩადენილი.

◆ **ახალი წიგნი.** იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდათ ქ. ზ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა „არითმეტიკის სახელმძღვანელო I ნაწ." იოსებ ავალიშვილისა.

◆ **მთავრობის თავმჯდომარემ** სოხუმიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „სოხუმის ოლქის პროფ. კავშირთა კონფერენცია მიესალმება დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას და და დამფ. კრებას, რომელიც რევოლუციის მიერ მოპოვებულ დემოკრატიულ წესრიგის დასაცავათ დიდ პასუხსაგებ მუშაობას აწარმოებს. სოხუმის ოლქის მშრომელი მასსა აღუთქვამს მთავრობას ამ ბრძოლაში თავის დახმარების აღმოჩენას". (დ.ს.)

◆ **სამხედრო მინისტრის ამხანაგი** გენ. ოდიშელიძე ევროპიდან დაბრუნდა; საქ. დემ. სააგ. თანამშრომელთან საუბრის დროს გენ. ოდიშელიძემ აღნიშნა, რომ ქემალისტებთან ომის და ოსმალეთის დეპანების გამო საზღვარ გარეთ მოგზაურობა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ამის გამო კონსტანტინოპოლ-პარიზის აღმოსავლეთით ექსპრესი დროებით შეჩერებულია და ამიტომ მგზავრს ტორენტომდე გემით მოგზაურობა უხდება. ევროპა საქართველოს და საერთოდ ამიერ-კავკასიის საქმეებს ნაკლებად იცნობს. საერთაშორისო ინფორმაციის ცენტრი ამ ჟამად ლონდონში იმყოფება. საერთაშორისო ბაზარზე ამ ჟამად ლონდონი ბატონობს. საქართველოს წარმომადგენლებს დიდი მუშაობის წარმოება სჭირდებათ, რომ გააცნონ ევროპის საზოგადოებას და მთავრობებს საქართველოს მდგომარეობა და საჭიროებანი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს წარმომადგენლების მუშაობას ძლიერ დიდი ნაყოფი მოაქვს.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში** ივნისში მიუღიათ უბრალო წერილები (მათ რიცხვში შედის ბანდეროლები და პერიოდული გამოცემანი) 855,817, შეკვეთილი წერილი 43.665 წერილი განცხადებული თანხით 1447—214,112,688 მან. ღირებულებისა. ფოსტით ფულის გადასაგზავნი ბლანკები 17,669 ც. 90,075,510 მან. ღირებულებისა. ფასიანი ამანათები 869 ც. ფასდაუდებელი ამანათები 2752; სხვადასხვა დეპეშა 284.242. წარსულ თვესთან შედარებით საანგარიშო თვის განმავლობაში ყოველი ოპერაცია გაზრდილა, გარდა უბრალო წერილების გზავნისა, რომლის შემცირება აზერბეიჯანთან საფოსტო დამოკიდებულების შეწყვეტამ გამოიწვია,

◆ **ყარაიაზის ველის მორწყვა.** დაიწყო გამოკვლევა ყარაიაზის ველის მე-3 და მე 4 განყოფილებებისა სარწყავ სისტემის პროექტის შესადგენად. მუშაობს ორი პარტია წყალთა სამმართველოდან; ერთი იკვლევს მთავარ არხის მიმართულებას ინჟ მ. ანდრონიკის მეთაურობით, მეორე კი—სათავე ადგილს, რადგან განზრახულია კაშხალის (плотина) აგებ; უკანასკნელს მეთაურობს ინჟ. გ. ს. კრიშევსკი. განყოფილებების სივრცე უდრის 15.000 დესეტინას.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის საქმის მცოდნე სპეციალისტების მომზადება.** თავის დროზე ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთათვის არსებობდა სკოლა, რომელიც შემდეგ დაიხურა. ამ ჟამად, რესპუბლიკის ტერიტორიის გადიდებასთან ერთად, ფოსტა-ტელეგრაფის ქსელიც მეტად გაიზარდა. ამიტომ მოსამსახურეთა რიცხვი აღარ არის საკმარისი, საჭიროა მომზადებული, ფოსტა-ტელეგრაფის საქმის მცოდნე პირთა კადრი. ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ფიქრობს გახსნას ერთწლიანი სპეციალური სკოლა. მსწავლებელთა ადგილზე ფოსტა-ტელეგრაფის გამოცდილ მოსამსახურეებს მოიწვევენ. მსმენელთ ატესტატების შეჯიბრებით და გამოცდებით მიიღებენ.

◆ **სასურსათო გეგმა.** სასურსათო განყოფილების მოქმედების შესახებ თფ. ქალაქის საბჭომ მოხსენება დაამუშავა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ახალმა საბჭომ სხვადასხვა საქონლის გადმოცემის დროს სულ 19—20 მ ლ. მან. ღირებულების ქონება ჩაიბარა. ამ ჟამად კი 200 მილ. მან. ღირებულების საქონელი არისო. სასურსათო განყოფილების ოპერაციები წინედ იძლეოდა: იანვარში 57 მილ. მან., თებერვალში 103 მილ. მ ნ., ამ ჟამად კი თანხა 200 მილ. მან. აღემატება. მცხოვრებთა ინტერესების დასაცავად და ბაზარზე ფასების დასაცემად, ქალაქის საბჭო თავის მოქმედებას თანდათან აფართოვებს. ამ ჟამად გახსნილია 13 დუქანი, 4 მანუფაქტურის მაღაზია, 2 გასტრონ. მაღაზია და ერთი ფეხსაცმელების. ქალაქი ამასთანავე ქურებში ნავთის ვაჭრობას აწარმოებს. სასურსათო განყოფილება არის მუშათა მაგიდის მთავარი გამწესრიგებელი ორგანო: მუშათა მაგიდის მიერ 65,000 შორის გაწესრიგებულ სასურსათო ბარათში 50.000 უშუამავლოდ სასურსათო განყოფილება აკმაყოფილებს. ყოველდღიურად სასურსათო განყოფილება მოსამსახურეებს და მუშებს 1500 ფუთ პურს აწვდის. სასურსათო განყოფილება ყოვლგვარ ზომებს იღებს მიაწოდოს საქონელი მცხოვრებლებს და მეორე მხრით ბაზრის ფასებზე იმოქმედოს. ივლისში ქალაქის მაღაზიებში 10 მილ. მანეთზე მეტი მანუფაქტურა გაიყიდა. (დ. ს.)

◆ **ფოთის მუშათა სახლისათვის.** აღმასრულებელმა კომიტეტმა მოისმინა რა ფოთში გადამტვირთავ მუშების მიერ მუშათა სახლის აშენების ცნობა, დაადგინა: მიმართოს მუშათა ორგანიზაციებს, რათა მათ ხსენებულ მუშებს ნივთიერი დახმარება აღმოუჩინონ დაწყებულ საქმის დასამთავრებლად.

◆ **ალავერდის ქარხნის საჭიროებისათვის** მთავრობამ ნება დართო 1.000 ფუთი ხის ნახშირისა და ამ ქარხნის მუშებისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგის გატანისა. ულუფის რაოდენობა მომარაგების სამინისტრომ უნდა გამოარკვიოს.

◆ **სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა** აგვისტოს 10 სხდომაზე დაადგინა: ქალაქთა კავშირის საქიმიკო სახელოსნოს მუშების ხელფასი გაუთანასწორონ მელითონე მუშების ხელფასს. ვართანოვის საპარიკმახეროს მოსამსახურეთ მიეცეს თვეში 3000 მან და შემოსავლის 30%. (დ. ს.).

◆ **ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტის** უკანასკნელ სხდომაზე დაადგინეს გაგზავნონ სატარიფო პალატაში გ. მეიფარიანის მაგივრად გრ. თოფაძე და სოციალურ დახმარების კომიტეტში—კი გრ. კაპანაძე. (დ. ს.).

◆ **ხელოსანთა საბჭოს შუამდგომლობა.** დ მფ. კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ სთხოვა ფინანსთა სამინისტროს წარმოადგინოს თავის დასკვნა დამატებითი სამრეწველო გადასახადის გაუქმების შესახებ. შუამდგომლობა ამის შესახებ აღძრა თფილისის ხელოსანთა საბჭომ. ხელოსანთა საბჭო აღნიშნავს, რომ ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორებს ამ გადასახადების შეფარდების დროს არ მიუღიათ მხედველობაში დღევანდელი შრომის პირობები, სიძვირე და სხვა. ამიტომ საბ. შუამდგომლობს განთავისუფლონ სამრეწველო გადასახადისაგან ის ხელოსნები, რომლებიც მერვე კლასის სამრეწველო მოწმობებით მუშაობენ. გარდა ამისა, საბჭო შუამდგომლობს განთავისუფლონ ასეთ გადასახადისაგან მოხუცებულები, რომლებიც საკუთარ შრომით ირჩენენ თავს და აგრეთვე არ ავრცელდეს კოლექტიური ხელშეკრულება ხელოსნებზე. (დ. ს.)

◆ **ცხოვრების გაძვირების გამო** ქალაქის გამგეობამ დაადგინა გადიდოს 100% შემდეგი დაწესებულებისათვის გადადებული თანხა: 1) სოციალურ დახმარების თფილისის ცენტრალურ საზოგადოებას ნაცვლად 75.000 მან. მისცეს 150.000 მანეთი. 2) მათხოვრობასთან საბრძოლველად 25 000 მან. მაგივრად გადადოს 50.000 მ. 3) ქალაქის საავადმყოფოებისათვის 38.400 მან. 4) ქალთა თავშესაფარისათვის 30,000 მ. და 5) სოციალურ დახმარების საზოგადოების განაპირებულებში გაჭირვებულთათვის დასახმარებლად 2,000 მ. შემდეგ დაადგინეს გასართობ დაწესებულებებიდან სოციალურ დახმარების საზოგადოების სასარგებლოდ შემოსული 300,000 მან. შეიტანონ საქართველოს კოოპერატიულ ბანკში მიმდინარე ანგარიშზე. დანარჩენი ფული რჩება გამგეობის კასაში, საზოგადოების საჭიროებისათვის. (დ. ს.)

◆ **იბეჭდება** და პირველ სექტემბრისათვის მზათ იქნება ი. გომელაურის შედგენილი სახელმძღვანელო „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები" წიგნი მესამე (მეოთხე გამოცემა, უმაღლ. დაწყ. სკოლ. მესამე კლასის კურსი). წიგნის დაკვეთა ამ თავითვე შეიძლება ქარ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში.

◆ **დაკარგული ბავშვი.** 2 აგვისტოს სახლიდან წავიდა გაჟირვებული 10 წლის ბიჭი სიმონ ბერაძე ტანად დაბალი, პირ-რგვალი, ჭრელ თვალა, თავზე ახურავს წაბლის ფერი ფაფახი, ტანზედ აცვია ბრეზენტის შალვარი და ხალათი, თუ ვინმემ რამე იცის ან გაიგოს ვთხოვ მაცნობოს XI კომისარიატში, (ლოტკინის ქუჩა № 27) იასონ გიორგის ძე ბერაძე.

◆ **ჟურნალი „ერობა".** რედაქციას მოუვიდა ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტის ორგანო „ერობა"-ს მორიგი № 5.

**პროვინციის ქრონიკა.**

**დ. ხარაგაული.** კვირას, 15 აგვისტოს, გაიმართება დიდი საღამო. ამხ. ...ით დევდარიანი გააკეთებს მოხსენებას თანამედროვე მომენტზე წმინდა შემოსავალი გადაიდება ხარაგაულში ასაშენებელ რკინის გზის თეატრის სასარგებლოთ.

## მთავრობაში

მთავრობამ დაადგინა:

ნება დართოს ბაღებსა და კარგ რესტორანებში ვაჭრობა ღამის 12 საათამდი, ხოლო ამავე რესტორანებში აიკრძალოს ღამის 12 საათს შემდეგ საქველმოქმედო მიზნით საღამოების მართვა.

— მოისმინა რა შრომის მინისტრის მოხსენება მუშათა სასახლის შესაკეთებლად 3 მილ. მანეთის გადადების შესახებ დაადგინა: 1) პროექტის ის ნაწილი, რომელიც ეხება სასახლის შეკეთების საჭიროებას, მიღებულ იქნას. 2) შესდგეს კომისია შრომის მინისტრის და სახელმწიფო კონტროლისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით სასახლის შეკეთებისათვის საჭირო ხარჯის გამოსაანგარიშებლად და 3) ხარჯთაღრიცხვის შედგენამდე მიეცეს უფლება შრომის მინისტრს, რომ იგი სასახლის შეკეთებას შეუდგეს.

— მიწათმოქმედების მინისტრის მოხსენება გოგირდის აბანოების ქალაქის თვითმართველობისათვის იჯარით გადაცემის შესახებ დასასკვნელად სახელმწიფო კონტროლს გადაეცეს.

— გადაეცეს ბორჯომის ქალაქის თვითმართველობას თავის განკარგულებაში ქუჩები, სავაჭრო ადგილები, რემონტის პარკი, ახალი კვარტალის საცხოვრო და საშუალო შენობები, რომლებიც დღემდი ბორჯომის სახელმწიფო მამულის მმართველის განკარგულებაში იმყოფებოდა. მიწად-მოქმედების მინისტრს დაევალა შეადგინოს კომისია თავის თავმჯდომარეობით და შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა მონაწილეობით ბორჯომის სახელმწიფო ქონების გამოსარკვევად.

— მიეცეს მომრიგებელ მოსამართლეებს საკანცელარიო, საგზაო და სამეურნეო ხარჯებისათვის საჭირო თანხა.

— მთავრობამ აგვისტოს 5 სხდომაზე თანახმად გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ პროექტისა დაადგინა რკინის გზის ტარიფის გადიდება. გზათა მიმოსვლის დეპარტამენტი წარმოდგენილ პროექტში აღნიშნავს, რომ საქართველოს რკ. გზების სამმართველოს მოლოდინი რკინის გზების შემოსავლის შესახებ პოლიტიკურ პირობების ცვალებადობის გამო არ გამართლდა. ამ ჟამად რკინის გზის შემოსავალი ბევრად შემცირდა. ასეთ პირობებში დეფიციტია მოსალოდნელი. უმთავრესი მიზეზი შემოსავლის შემცირებისა იყო ის, რომ ჩვენ რკინის გზებს აღარ გადაქ-

---

გამგეობაში ჩვენ ცოტა დეფექტები გვექნება. სახელმწიფო მოსამსახურეები თავის სიმაღლეზე უნდა ავიყვანოთ. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ვერც ჩვენ დეპუტატები ვასრულებთ ჩვენ მოვალეობას სავსებით. აი. არსებობს მცირე კომისიები, რომლის მოვალეობაა აღმოაჩინოს დეფექტები, მიუთითოს უწყებას და ამგვარად დაეხმაროს მას ნაკლულოვანების მოსპობაში თუ არა, შემცირებაში მაინც. მერე? ძლიერ ცოტას აკეთებენ ეს მცირე კომისიები? ისევ საფინანსო კომისია, რომელსაც ისედაც აუარებელი მიმდინარე საქმეები აქვს, ცოტა რამეს აკეთებს ამ მხრით, სხვები კი ვერ იჩენენ საჭირო საქმიანობას. საჭიროა ამას მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება. თუ უწყებას დეფექტებს უჩვენებთ, არა მგონია მადლობით არ მიიღონ ასეთი შენიშვნები.

აქ ბრძანეს, რომ ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა დანაშაულობა ჩაიდინაო. მე ვაცხადებ, რომ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია; მცირე კომისიამ აღმოაჩინა დეფექტები და ამ დეფექტებზე მიუთითა (ხმები: არა, მან დანაშაულობა ჩაიდინა). კომისიის აზრით ავალიანის მოქმედების კვალიფიკაცია დანაშაულობა არ არის, ეს ზოგიერთი თქვენგანის დასკვნაა. შეცდომებზე მიუთითა კომისიამ და ის უნდა იქნეს გასწორებული. აქ სთქვეს, რომ ძალიან ცოტა ჩვენი ბიუჯეტიდან იხარჯება სოფელზე. ეს არ არ არის ასე. კომისია ერთგვარი ყურადღებით ეპყრობოდა როგორც სოფელს, ისე ქალაქს. ჩვენ ვაძლევდით დახმარებას არა მარტო ქალაქებს, ერობებსაც. მათ გადაცემული აქვთ ნაწილი გადასახადებისაც. ჩვენი ბიუჯეტის გასავალი: სასოფლო მეურნეობაზე—32 მილიონი, სატყეო განყ.—18 მილიონი, წყლის განყ.—5 მილ., გზა-ტკეცილების და საურმე გზების—15 მილ., დიდი ნაწილი სახალხო განათლების ხარჯებისა, სამკურნალო დაწესებულებებისა, მომრიგებელი მოსამართლეებისა, ფოსტა-ტელეგრაფისა და სხვა და სხვა სოფელს ეკუთვნის. კომისიას ყოველთვის აინტერესებს სკოლის მდგომარეობა, ეს ასეც უნდა იყოს, და ყოველივე განცხადებას სოფლიდან მიღებულს ის დიდი ყურადღებით ეპყრობა. სოფლის ბედი თვით მის ხელშია,—ერობის,—ჩვენ კი მას ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ და ვეხმარებით. ამას წინეთ ჩვენ მივეცით 100 მილ. დახმარება სესხის სახით ერობებს; ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერობებს და საერთოთ თვითმართველობებს ვეყრდნობით და როგორ შეგვიძლია ისინი უყურადღებოთ დავტოვოთ.

კომისიას უსაყვედურებენ ეკლესიის შენახვაზე ფულის გაღებას, ეს მართალი არ არის.

სამღვდელოებას ჯერ-ჯერობით დაკისრებული აქვს დიდი სახელმწიფოებრივი მოვალეობა: რეგისტრაცია დაბადებულების, მიცვალებულების და დაქორწინებულების. ეს დიდი და რთული საქმეა. ეს საქმე ჯერ ჩვენ ვერ ჩამოგვირთმევია მათთვის. იუსტიციის სამინისტროს ამ ჟამად შემუშავებული აქვს წესი და ორგანიზაცია ამ რეგისტრაციისა და ჩვენ ალბად მალე განვიხილავ. თქვენ იცით, რომ საშ. სამინისტრომ გამოაცხადა სავარჯიშოთ გამოცხადება მათი, ვინც 1888, 1889 წლებში დაიბადა, ვინ ადგენს ამ სიებს, ვისგან ღებულობს სახელმწიფო საჭირო ცნობებს? სამღვდელოებიდან. აი ამ მოვალეობის აღსრულებისათვის, ეს პირდაპირ ნათქვამია ბიუჯეტში, სახელმწიფომ გაიღო ერთ მილიონზე ცოტა მეტი თანხა. ვისაც აკისრებთ თქვენ მოვალეობის აღსრულებას, სულ ერთია ანაფორა აცვია მას, თუ კურტკა, კაცია თუ ქალი, თუ კი საქმეს აკეთებინებთ, სასყიდელიც უნდა მისცეთ. როდესაც მათ ამ მოვალეობის ასრულებისაგან გავანთავისუფლებთ, თავის თავად იხსნება საკითხი მათთვის ფულის გადადების შესახებ.

ამავე დროს ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ შრომის სამინისტროზე ძალიან ცოტა იხარჯებაო. ამ საკითხზე დიდ ხანს შეჩერდა ბ. თ. ღლონტი, რომელსაც ძალიან მოსწონს რუსეთის ბოლშევიკების წესწყობილება. ამიტომ რუსეთის ბოლშევიკების ბიუჯეტით გავაწბილებ მე ბ. ღლონტს. აი ცნობები: მაშინ, როდესაც შრომის კომისარიატზე ბოლშევიკებმა გადადვეს შვიდი მილიონი, სამხედრო საჭიროებისათვის შვიდი მილიარდი. ჩვენ ვხარჯავთ ერთ მილიონზე მეტს შრომის სამინისტროზე; ეს იმას ნიშნავს, რომ მოხელეები, რომლებიც შრომის სამინისტროში მსახურებენ, ცოტა არიან; ეს შრომის უყურადღებობას სრულებით არ მოასწავებს. აი რა გაგვიკეთებია ჩვენ მუშებისათვის და სახელმწიფოს მოსამსახურეებისათვის; გამოვეცით კანონი სოციალური დახმარებისა და გადავდევით 25 მილიონი, შევქმენით ფონდი მუშებისათვის სურსათის მისაწოდებლად და გადავდევით 50 მილიონი ერთხელ, 120 მ ლიონი მეორეთ. გავადიდეთ ჯამაგირება 1 აგვისტოს 1919 წელს, 1 ნოემბერს 1919 წელს და 1 თებერვალს 1920 წელს, 15 დეკემბერს და 23 ივლისის დეკრეტების ძალით მივეცით ერთდროული დახმარება, მივიღეთ კანონი რკინის გზაზე პენსიის გადიდების, ეხლა ვიხილავთ შრომის ხელშეკრულებას და მალე მივიღებთ საპენსიო დებულებას. სწარმოებს დაზღვევა მუშებისა და დღეს 600 მუშა პენსიონერია, საავათმყოფო კასები და ავათმყოფობის დროს მუშების უზრუნველყოფა ფართოთ არის დაყენებული. დაარსდა სატარიფო პალატა, იქ იკრიბება ცნობები სანოვაგეზე ბაზრის ფასების შესახებ და იქვე სწყდება საკითხი ხელფასის გადიდებისა. მიღებულმა ზომებმა ხელფასის ზრდის შეჩერების შესახებ მით, რომ იაფ ფასიანი პური მიაწოდონ მუშა-მოსამსახურეებს, მიზანს მიაღწიეს,—აქედან აშკარაა, რომ შრომას ჩვენ ჯეროვან ყურადღებას ვაქცევთ და ღლონტის მტკიცება სინამდვილეს არ შეეფერება. თქვენ საზოგადო მოღვაწეებს ყურადღებას არ აქცევთო, არც ეს არის მართალი. 13 ივლისს ჩვენ მივიღეთ კანონი, რომლით დავბეგრეთ 10% ყველა გასართობები ამ მოღვაწეების სასარგებლოდ. უფრო ფართოდ დაყენება ამ საკითხისა ჯერ შეუძლებელია ფინანსიური მოსაზრებით. აქ იქამდინაც მივიდენ, რომ გააცხადეს თავდაცვის საქმეზე ფული უმიზნოთ იხარჯება. ეს დიდი უსამართლობაა. ჯარი და სახალხო გვარდია თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებენ. ამაზე პასუხი გასცა შენგელაიას დეპ. ა. ჩხენკელმა და მეც ვალათ ვრაცხ ჩემ თავს აღვნიშნო ჩვენი შეიარაღებული ძალის დიდი სამსახური ხალხის წინაშე და გამოვთქვა იმედი, რომ აწიც ამ გზას ჯარი და გვარდია არ დაადგებენ. გამოვთქვამ არა თუ კომისიის, დამფ. კრების სურვილსაც თუ ვიტყვი, რომ შინაური წესრიგის დასაცავათ ჩვენ ვერაფერს დავზოგავთ, რადგან ამ შინაურ სიმაგრეზეა დამყარებული საერთაშორისო ჩვენი გამარჯვება ეს კარგად უნდა ახსოვდეს ოპოზიციას.

ეხლა რამოდენიმე მოსაზრება შემოსავლის შესახებ. ოპოზიციამ საშინლად გამოილაშქრა ჩვენი შემოსავლის სისტემის წინააღმდეგ; უწოდებს ჩვენ ბიუჯეტს რეაქციონური, პარაზიტული, მიტომ რომ ჩვენ ეხლავე ვერ შევქმენით გადასახადების ახალი სისტემა, მიტომ რომ ჩვენ ეხლავე ვერ შევძელით შემოგვეღო ერთად ერთი გადასახადი, რომელიც დაფარავდა ყველა სხვა გადასახადებს—შემოსავლის კვალობაზე გადასახადი.

ამ შემთხვევაში ოპოზიციას ძლიერ უყვარს ბოლშევიკურ რუსეთის ხსენება. ბ. თ. ღლონტმა მოგვახსენათ, რომ საკუთრების და წარმოების საქმე ბოლშევიკებმა მშვენივრათ დააყენესო. ამიტომ უნდა მოვაგონო მასვე, რომ თუმცა ბოლშევიკები დეკრეტებით ქმნიან ახალ პირობებს, მაგრამ ამ სფეროში ჯერ მათ ეს დეკრეტებითაც ვერ შესძლეს, რადგან მოსპობა ერთი რიგი წყაროებისა მაშინ, როდესაც ახალი წყაროები მოწყობილი არ არის, მათაც კი შეუძლებლათ მიიჩნიეს. ასეთ ექსპერიმენტებს ბოლშევიკებიც კი ერიდებიან, ოპოზიცია კი ჩვენ გვირჩევს ამას, ეს გახლავთ ბოლშევიკობის მოწმობა.

განსაკუთრებით თავს გვესხმიან არა პირდაპირი გადასახადების გამო. როგორ და ეს გადასახადი ამდენ ხანს ვერ მოსპეთო. ჯერ ვერც ერთ სახელმწიფოში ეს გადასახადი ვერ გაუუქმებიათ აი მე ხელთ მაქვს ბოლშევიკების ბიუჯეტი, სადაც აღნიშნულია შემოსავლის წყაროები: პირდაპირი გადასახადი. არაპირდაპირი გადასახადი. ბაჟები, მთავრობის რეგალიები, სახაზინო ქონება და კაპიტალი. სახელმწიფო ხაზინის გასავლის დაფარვა და სხვადასხვა შემოსავალი.

მათ არა თუ მოსპეს პირდაპირი გადასახადი, წინააღმდეგ პირდაპირმა გადასახადმა კი იკლო. აი ბოლშევიკების ცნობები:

არაპირდაპირი გადასახადმა იმატა.

| | |
|---|---|
| თამბაქოზე | 76.2% |
| პაპიროსზე | 287,[illegible]% |
| ასანთზე | 50,7% |
| ხაზინის ღვინის ოპერაციებზე | 91,4% |

პირდაპირმა შემოსავალმა იკლო.

| | |
|---|---|
| სამრეწველო გადასახადმა | 70,8% |
| მიწის გადასახადმა | 51,6% |
| სატამოჟნო გადასახადმა | 88% |
| შაქრის აქციზმა | 14,8% |

მაშასადამე იქ იკლო პირდაპირმა გადასახადმა, იმატა არაპირდაპირმა. ეს ცნობები ამოღებულია ბოლშევიკების ფინანსისტის წიგნიდან: Финансовая наука Таргулова, გამოცემა 1919 წლის ფინანსთა კომისარიატთან არსებულ ინსტიტუტისა.

ჩვენი შეხედულება არაპირდაპირ გადასახადზე მე მოგახსენეთ, მაგრამ იმდენათ, რამდენათაც იქნება განსხვავება საქონლის ნამდვილ ღირებულების და ფას შორის ეს გადასახადი არსებითად იარსებებს ყოველთვის. ჩვენც გვაქვს არაპირდაპირი გადასახადები იმ განსხვავებით, რომ განსაკუთრებით ის აწევს არაპირდაპირი და მოთხოვნილებების და ფუფუნების საგნებს, პირველი მოთხოვნილებების საგნებს კი ძალიან ცოტად.

ჩვენ გვისაყვედურებენ, რათ არ შემოიღეთ შემოსავლის კვალობაზე გადასახადიო. ჯერ ასეთი გადასახადი ჩვენ გვაქვს. ის შემოიღო დროებითი მთავრობამ 1917 წლის 12 ივნისს, ჩვენ 1919 წლისთვის გავადიდეთ გადასახადი 20%. აქედან 4/5 მიდის სახელ. ხაზინაში, 1/5 ერობებს სასარგებლოდ. 21 ნოემბერს 1919 წლის კანონით ამ გადასახადებისაგან თავისუფალია ის, ვისაც წლიური შემოსავალი არ აღემატება 12 ათას მანეთს. ასეთი შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შემოღება, რომელიც ყველა შემოსავლის წყაროს დაფარავდეს, ერთი და ორი წლის საქმე არ არის, თუმცა ზოგიერთ დეპუტატებს ოპოზიციიდან ჰგონიათ, რომ ჩვენ ეს ეხლავე უნდა გვექნა, და დეპ. თოფურიძე კი გვისაყვედურებდა ერთ წერილში, რატომ კომისიამ არ წარმოადგინა შემოსავლის კვალობაზე გადასახადის კონკრეტიული სისტემაო.

რაც უნდა კარგად იყოს გადასახადების საქმე დაყენებული, მაინც მარტო გადასახადები დღევანდელ პირობებში ვერ დააკმაყოფილებენ სახელმწიფოს საჭიროებას. სხვა საშუალებებია მოსაძებნი.

კომისიამ ამ საშუალებებზე მიუთითა.

ლ. შენგელაიამ სთქვა, რომ კომისიას არავითარი გეგმა ფინანსიურ და ეკონომიური არ წარმოუდგენიაო. დიახ, გეგმა, როგორც ასეთი არ წარმოუდგენია კომისიას, ეს მთავრობის საქმეა, მაგრამ ჩვენ წამოვაყენეთ დებულება, რომელზედაც უნდა აშენდეს ჩვენი ფინანსიური და ეკონომიური პოლიტიკა. კომისიის მოხსენების მეორე მუხლში შემდეგი სწერია: „საჭიროა ჩვენში წარმოების განვითარება, რომ ჩვენი ქვეყანა არ იქნეს მარტო ნედლი მასალის გამზიდველ მხარედ და სხვისი ნაწარმოების მომხმარებლად. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე გამოყენებულ უნდა იქნეს. იქ სადაც თვით სახელმწიფოებრივ და თვითმართველობის ორგანიზაციებს არ ძალუძთ ამ წარმოების მოგვარება, ადგილი კერძო საკუთრებას უნდა მიეცეს". იმპორტი და ექსპორტი, ვალუტის საქმე რამდენათ შესაძლებელია, სახელმწიფომ უნდა აიღოს ხელში; კერძო, ეგრედ წოდებული საბანკირო კონტორები, უნდა მოისპოს და სახელმწიფო ბანკს ხელში უნდა გადავიდეს ყველა ასეთი ფუნქციები. კომისია სავსებით იზიარებს დეპ. ქარუმ ძის აზრს, რომ სოფლის მეურნეობას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება; კომისიაც ასე იქცევა, მე ეს აღვნიშნე. მაგრამ ოპოზიციის მარცხენა ფრთას არ მოსწონს ეს გზა თანდათანობითი გარდაქმნისა. ისინი ეხლავე მოითხოვენ საკითხების გადაჭრას.

„საკუთრების და წარმოების ტრანსფორმაცია ბოლშევიკებმა დააყენეს საუცხოოთ", სთქვა თ. ღლონტმა, ეს მე სიტყვა სიტყვით ჩავიწერე.

„არსებულ მძიმე პირობებში ჩვენი პოლიტიკა უაღრესად შემცდარია", აღნიშნა მანვე და ხაზი გაუსვა, რომ ეს არის მისი უმთავრესი თეზისი.

ასე მსჯელობდა ღლონტი პირველ თავის სიტყვაში, მეორე სიტყვაში მან ცოტა აბრუნდი ქნა და განაცხადა, რომ ის დღეს უკიდურესობის მომხრე არ არის, აქ მან უკან დაიხია. პირველი თეზა და მეორე თეზა ერთი-მეორეს არ გავდა. ეს სხვათა შორის.

ლ. შენგელაიამ განაცხადა: სახელმწიფომ უნდა აიღოს ხელში მთელი წარმოება და მეურნეობა მაგრამ ამას თავი უნდა".

აშკარაა, აქ ორატორები იწონებენ უკიდურესობის ბოლშევიკების პოლიტიკას და იწუნებენ ჩვენსას—თანდათანობითი პოლიტიკას.

მე არ შევუდგები ამ პოლიტიკის კრიტიკას; ეს შორს წაგვიყვანს, მოვიყვან მხოლოდ ციტატს ბოლშევიკების ფინანსისტის: Потъев-ის დაფასებს; ეს დაფასება ამოღებულია მისი წიგნიდან: „финансовая политика совѣтской власти", 1919 წ. გამოცემა ფინანსთა კომისარიატთან არსებული ეკონომიური ინსტიტუტისა. აი რას სწერს ამ წიგნში ეს ავტორი ბოლშევიკური ორთოგრაფიით: „все наши финансовыя потребности покрываются почти исключительно при помощи печатнаго станка, между тѣмъ. какъ расходы увеличиваются съ каждымъ днемъ. Мы все время думаемъ, справится ли печатный станокъ съ такой работой, которая на него возлагается. Мы опасаемся, что наша колоссальнѣйшая экспедиція загот. госуд. бумагъ не справится, не успеетъ напечатать того количества денежныхъ знаковъ, которые требуются намъ на покрытіе нашихъ денежныхъ знаковъ. Это положеніе все ухудшается. Машинъ въ экспедиціи имѣется опредѣленное количество, а сами дѣлать мы ихъ не умѣемъ. Вмѣсто 4 милліоновъ въ день она вырабатываетъ теперь 150 милліоновъ. Если бы остальныя предпріятія увеличимъ въ такой пропорціи свою производительность, — тогда мы бы въ маслѣ катались. Примѣрно въ маѣ мѣсяцѣ тов. Ленинъ опредѣленно заявилъ, что ближайшее время мы будемъ существовать почти исключительно за счетъ печатнаго станка и другого выхода у насъ нѣтъ". (54—55 ст).

(ღლონტი და შენგელაია: სწორეთ ასეთია თქვენი პოლიტიკა) უეჭველად, ჩვენ ფინანსიური პოლიტიკის საფუძველი ხალხის შრომაა. მე ვთქვი პირველ ჩემ მოხსენებაში და შემდეგ დეპ. ი. სალაყაიამაც აღნიშნა, თუ როგორ იზრდება ჩვენი შემოსავალი თანდათან თუ რა კარგი პირი უჩანს მომარაგების სამინისტროს ოპერაციებს, რომლისაგან ჩვენ დიდ შემოსავალს უნდა მოველოდეთ. ჩვენ გამოვალთ ამ მძიმე პირობებიდან, თუ არ გადაუხვევთ აღებულ გზას: შექმნას სახელმწიფოებრივ მეურნეობა—წარმოებისას უშუამავლოთ, ან თვითმართველობითი ორგანოების ან სხვა ორგანიზაციების საშუალებით, სადაც ეს შესაძლებელია ამ გზაზე ჩვენ გვმართებს დიდი შრომა და ენერგია. ჩვენ აღმშენებლობას დეფექტები აქვს, მაგრამ ჩვენ ვერ მოვიქცევით ისე, როგორც იმ არაკის მენავეები, რომლებმაც ნიჩბებს ხელი გაუშვეს და მორთეს ყვირილი „ვიშველეთ, ვიღუპებითო". ასე ყვირის ოპოზიცია მარცხნიდან. ჩვენ კი მათ ვუპასუხებთ: „ნიჩბებს მოუსვით, ჩვენ არჩეულ გზაზე მტკიცე ნაბიჯით იარეთ, ჩვენთან ითანამშრომლეთ და ნაშველი იქნებით". (ხმები მარცხნიდან: არა, არა ჩვენ გზაზე იარეთ თქვენ, ჩვენთან ერთად!)—არა, ვისაც გულწრფელად სურს ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცება, მშრომელი მასის ინტერესების დაცვა და სოციალიზმისკენ უშიშარი ნაბიჯით სვლა, ჩვენთან ერთად ჩვენი მიმართულებით მიუსვით ნიჩბებს და სამშვიდობოს უსათუოდ მივაღწევთ. იმ რწმენით, რომ ჩვენ ვაკეთებთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეო საქმეს, მაქვს პატივი საბიუჯეტო კომისიის სახელით შემოვიტანო წინადადება წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის ზოგადად მიღებისა და მის მუხლობრივ განხილვაზე გადასვლისა.

ნდა პირველ საჭიროების საქონელი—ნავთი. სხვა საქონლის გადაზიდვა კი არ იძლევა იმოდენ შემოსავალს, რომ დეფიციტი დაფაროს. ამიტომ საჭიროა რკინის გზების ტარიფის გადიდება. შემდეგი რაოდენობით: 1) მგზავრთა მიმოსვლის ტარიფი შედარებით 1917 წ. ივნისში არსებულ ძირითად ტარიფთან 100-ჯერ უნდა გადიდდეს, 2) ბარგისა და ჩქარი სისწრაფით საზიდ საქონლისა 150-ჯერ, 3) ნელი სისწრაფით საზიდ საქონლისა 150-ჯერ, 4) ნელი სისწრაფით საზიდი ტარიფი წყლისა, მიწისა, ქვისა, თივისა და შეშის 100 ჯერ, 5) ტარიფი მინერალურ წყლისა, მარილისა, გამოუხდელი ნავთისა 150-ჯერ უნდა იქნეს გამოავლებული, 6) გამოუხდელი ნავთი, ნავთის ნახადის ნაშთი და სხვ. მეორე კატეგორიის საქონელი უნდა იზიდებოდეს დიფერენციალით 18 150 და როგორც ასანთები ნავთი, ბენზინი და 6) პირველ კატეგორიის საქონელი ზემოაღნიშნულ ტარიფს კახეთის რკინის გზაზე უნდა დაემატოს 20 %. არსებული წესი საფუთო გადასახადის აკრეფისა უცვლელად დარჩეს. წარმოდგენილი ტარიფის გადიდება უნდა გავრცელდეს კახეთის და სახაზინო რკინის გზებზე.

მთავრობამ უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა ბ. ბებუთოვის წინადადება იმის შესახებ, რომ იგი სწირავს ქართველ ხალხს სამკითხველოს, რომელიც მას აქვს ბერლინში—„სამკითხველო, სოც.-დემოკრატიულ პარტიის მუზეუმ—არქივი“-ს სახელწოდებით. ეს სამკითხველო უკვე 30 წელიწადია არსებობს და სოც.- დემ. ლიტერატურით მეტად მდიდარია. მთავრობამ მიიღო ბებუთოვის წინადადება და მიანდო განათლების სამინისტროს შეიმუშავოს გეგმა ამ სამკითხველოს გერმანიიდან საქართველოში გადმოტანის შესახებ.

## დამფუძნებელი კრების კომისიებში

დამფუძნებელ კრებაში შეტანილია დეკრეტი გულეიკარის თემის გამოყოფის და მისი ქუთაისის მაზრასთან მიწერის შესახებ. თანახმად პროექტისა ოზურგეთის მაზრას გამოეყოფა სოფელი ნოლა და და თელაჯი, სენაკის მაზრას, სოფელი გულეიკარი და ეს სოფლები ქუთაისის მაზრის სოფლებს ქორელაბანს და ბუღნარს შეუერთდება. ეს სოფლები შეადგენენ ერთ ადმინისტრატიულ ერთეულს გულეიკარის თემის სახელწოდებით, რომელიც ქუთაისის მაზრას მიეწერება.

— დამფუძნებელ კრების პლენუმში განსახილველად შემდეგი დეკრეტი არის შესული: 1) დეკრეტი ძველ ხუროთმოძღვრების ძეგლების დასაცავად და შესაკეთებლად კრედიტის გაღების შესახებ. თანახმად დეკრეტისა ძეგლების დაცვა და შეკეთება ევალება სახალხო განათლების სამინისტროს, რომელმაც ეს საქმე სახელმწიფო მუზეუმის საბჭოს თანამშრომლობით უნდა განახორციელოს. 2) დეკრეტი სიღნაღის ქალაქის თვითმართველობისთვის 2 მილ. სესხის მიცემისა. 3) დეკრეტი გორის მიწის ძვრისაგან დაქცეულ სკოლების აღსადგენად 20 მილ. მანეთის გაღებისა. 4) დეკრეტი ფინანსთა უწყების განკარგულებაში 1920—21 წლების ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში ბათომის სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად საჭირო თანხის გაღებისა. 5) დეკრეტი ქალაქის თვითმართველობისთვის სამი მილ. მან. სესხის მიცემისა. (ს. დ. ს.)

## აღმაშფოთებელი ინციდენტი

(წერილი რედ. მიმართ).

აგვისტოს 5-ს სად. წალვერში მოწმეთ ვიყავით შემდეგი აღმაშფოთებელი ინციდენტისა: ამხ. ვალ. გოგუაძე შეუვარდა კაბინეთში სადგურის უფროსს ბ-ს მახარაძეს და დაუწყო მას ქუჩური სიტყვებით ლანძღვა-გინება, რევოლვერ მოღერებული მოსთხოვდა მას განმარტებას იმის შესახებ, თუ რატომ არ მიაბა მან პირველ ორთქლმავალს მისი ვაგონი; ბ. მახარაძე მუდარით არწმუნებდა მას, მან მისი ვაგონის შესახებ არა იცოდა რა, რადგანაც მორიგეს დაავიწყდა ამის შესახებ ეთქვა მისთვის; და აღარც შეიძლებოდა მისი ვაგონი მიებათ იმ ორთქლმავლისათვის, რომელიც საჩქაროდ გაიგზავნა ბორჯომში სამგზავრო მატარებლისთვის, მაგრამ ვ. გოგუაძე მაინც არ ცხრებოდა—და ემუქრებოდა ბ. მახარაძეს წვერებს დაგაგლეჯო. სადგურის უფროსის თანაშემწეს კი, რომელიც ამ დროს ბილეთებს აძლევდა კასასთან მოზღვავებულ ხალხს ვ. გოგუაძემ წინადადება მისცა კასა დაეკეტა, ბილეთების გაყიდვა შეეჩერებინა, რაც მაუზერის შიშით უხმოდ იქმა შესრულებული. ამ სამწუხარო ინციდენტმა ძალზე ააშფოთა იქ დამსწრე უთვალავი საზოგადოება, მაგრამ გოგუაძის წინააღმდეგ კრინტიც ვერავის დასძრა, რადგანაც ყველა შიშის ზარმა შეიპყრო. ასეთი შეუფერებელი საქციელი აჩრდილებს თვით ვ. გოგუაძის პიროვნებასაც, ხალხის თვალში ამცირებს სხვა მისებრ რევოლიუციონურ გმირებს, რომლებმაც გმირობა გამოიჩინეს თავისუფლებისა და რესპუბლიკის დაცვაში, საჩელს უტეხს აგრეთვე ჩვენ სახელმწიფოებრივ წესწყობილებას. ამისათვის ჩვენ არ შეგვიძლია სასტიკი პროტესტი და ჩვენი გულის წყრომა არ განუცხადოთ ამხ. გოგუაძეს. შეურაცყოფილ ბ-ნ მახარაძეს კი უცხადებთ ჩვენს სიმპატიას და თანაგრძნობას.

დამფუძნებელი კრების წევრი **ვ. გაგლოევი.**

გაზ. „საქარ. რესპ.“ დრ. რედაქტორი **გრ. მაჭავარიანი.**

## კულტ. მუშაობა თფ. სადარაჯო ათასეულში

**ჯარის-კაცთა თეატრი.**

ორი თვის წინად სადარაჯო ათასეულში დაარსდა თეატრი. ამ პატარა ხნის განმავლობაში თეატრის მოქმედება ხსენებულ ათასეულში ფრიად ნაყოფიერი იყო. თეატრი გაიხსნა 36 მაისს საზეიმო საღამოთი, საღამო შესდგებოდა 3 ნაწილისაგან: წარმოდგენა, კონცერტის და დივერტისმენტისაგან. სცენის მოყვარე ოფიცერთა და ჯარისკაცთა მიერ წარმოდგენილი იქნა: „დედა და შვილი“ და „ტიმოთეს ლეღვი“. შემდეგ ჯარის-კაცთა ხორომ შეასრულა რამოდენიმე ხალხური სიმღერა და, დასასრულ, წარმოთქმულ იქნა აგრეთვე ლექსები, სიტყვები. საღამომ მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე ჯარის-კაცებზე.

შემდეგი წარმოდგენა (ა. ყაზბეგის დრამა: „არსენა“) დაიდგა 11 ივნისს, რომელიც განმეორებულ იქნა 12 და 14 ივნისს იმ ჯარისკაცთათვის, რომელნიც სადარაჯოებზე იყვნენ წინა დღეებში და ამიტომ არ შეეძლოთ დასწრებოდენ წარმოდგენას სხვა სამსახურიდან თავისუფალ ამხანაგებთან ერთად.

27, 28, და 30 ივნისს წარმოდგენილი იქნა: „ორი მშიერი“, „უბედური დღე“ და „ქაუისა მჭირს“.

მაგრამ განსაკუთრებული ინტერესით ჩატარდა ე. ნინოშვილის მოთხრობიდან გადაკეთებული: „სოფლის გმირები“., რომელიც წარმოდგენილ იქნა: 10, 11 და 12 ივლისს. ამ პიესის შემდეგ მოწყობილ იქნა პიესის გმირის სპირიდონ მცირიშვილის გასამართლება, რომელშიაც მონაწილეობდენ აფიცრები და ჯარისკაცები და რომელიც მეტად ხალისიანად ჩატარდა.

**ჯარისკაცთა უნივერსიტეტი.**

ათასეულის თეატრთან მოწყობილია აგრეთვე უნივერსიტეტი, რომელშიაც ყოველდღე სისტემატიურად დილის 8 საათიდან $9^1/_2$: საათამდე საგანგებოდ დაშნულ მასწავლებლის და ინსტრუქტორ აფიცრის მიერ ეკითხება ლექციები: საქართველოს ისტორიიდან, გეოგრაფიიდან, ბუნების მეტყველებიდან, ლიტერატურიდან და სხვ.

**ჯარისკაცთა სკოლა.**

იმ ჯარისკაცთათვის, რომელთაც წერა-კითხვა არ იციან სრულებით, ათასეულის გუნდებში მოწყობილია საგუნდო სკოლები, სადაც სწავლება სწარმოებს მასწავლებელ აფიცრის ხელმძღვანელობით. წერა-კითხვის სწავლებას ჯარისკაცნი დიდის ინტერესით ეკიდებიან.

**ჯარისკაცთა სამკითხველო.**

ათასეულს აქვს აგრეთვე წიგნთ-საცავ სამკითხველო. არის სამხედრო სამინისტროს კულტ.-განათლების სექციიდან მიღებული 700 ქართული წიგნები და ბროშიურები. თუმცა ჯარისკაცთა სულიერ მოთხოვნილებას ეს რიცხვი ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ კულტურა-განათლების სექციის დახმარებით სულ მალე გადიდდება წიგნების რიცხვი. სამკითხველოს მოსდის კულტურა-განათლების სექციიდან ყოველკვირეული ჟურნალი „მხედარი“ 50 ცალი და გაზეთები ყოველდღე: „ერთობა“ და „სახალხო“ თითო გაზეთის 8 ეკზემპლიარი, რომელიც თანაბრად ურიგდება გუნდებს წასაკითხად. გუნდებში გაზეთებს უკითხავენ საგანგებოდ დანიშნული, კითხვის კარგად მცოდნე ჯარისკაცები. მოკლე ხანში ჯარისკაცთა ცენტრალურ სამკითხველოს გარდა,—გუნდებშიაც მოეწყობა სამკითხველოები.

ვიხ—განი.

## ს. დ.-პარტიაში

**თფილისი.** 5 აგვისტოს შესდგა ამხ. გ. ბახტაძეს თავმჯდომარეობით ს. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

პირველათ ცენტრიდან აკეთებს, ვრცელს და შინაარსიან მოხსენებას ამხ. ი. გიორგაძე, რაც მიღებულ იქნა ცნობათ.

ადგილებიდან,—მთავარ სახელოსნოების—დ. კალაძე აღწერს მუშების უმწეო მდგომარეობას: მუშები შიმშილს განიცდიან. ცარიელი კუჭით მუშებს პარტიული და კულტურული მუშაობისადმი ხალისი ეკარგებათ. თუ ასეთი მდგომარეობა კიდევ გაგრძელდა,—ჩვენ მივიღებთ მუშების სულიერ და ფიზიკურ გადაგვარებას. მუშების პროლეტარული ნაწილი უკვე გადაგვარების გზაზეა შემდგარი, ვინაიდან მას, გარდა თავის ხელფასისა—სხვა შემოსავლის წყარო არ გააჩნია... ერთდროული დახმარება,—მუშების გაჭირვებულ მდგომარეობასთან შედარებით წვეთია ზღვაში. ამ საკითხის მოსაგვარებლათ საჭიროა საჩქარო რადიკალური ზომებიო,—ათავებს მომხსენებელი.

ამხ. დ. ლორთქიფანიძე. მუშების ეკონომიურ მდგომარეობას მიაქცია სერიოზული ყურადღება დეპოს და მთავარ-სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეების პროფ. კავშ. გამგეობამ. საკითხი გადატანილია კავშირის ცენტრალურ გამგეობაში, რომლისაგანაც ამ თვის 15-იდე უნდა მივიღოთ დადებითი პასუხი.

ამხ. თ. მეგრელიშვილი აცნობს კრებას სატარიფო პალატის მუშათა სექციის შეხედულებას ამ საკითხის შესახებ—და მოითხოვს, რომ კოლექტივმაც გამოსთქვას თავისი შეხედულება, რითაც ის სატარიფო პალატაში აღნიშნულ საკითხის გარჩევის დროს იხელმძღვანელებს.

კრებას გამოაქვს შემდეგი დადგენილება: ვინაიდან სატარიფო პალატის პირდაპირ დანიშნულებას შეადგენს მუშათა კლასის ხელფასის მოგვარება,—დაევალოს ამხ. თ. მეგრელიშვილს, როგორც სატარიფო პალატის წევრს,—რათა პალატის მუშათა სექციამ მიიღოს საჩქარო ზომები მუშათა კლასის ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ნაძალადევის უბნის სახალხო გვარდიის შესავსებათ კოლექტივს გამოაქვს დადგენილება, რომ მოწინავე მუშები ჩაეწერონ გვარდიაში, დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალებათ ქვე-კოლექტივებს.

ბარბარე არტემის ასული გაბრიელაშვილისა, წერილობით სთხოვს კოლექტივს, რათა კოლექტივმა მიიღოს ზომები, რომ ის უკანვე იქნეს მიღებული რკინის გზებზე სამუშაოთ. (დათხოვნილია შტატის შემცირების გამო) წინააღმდეგ მას მოელის შიმშილისაგან სიკვდილი. კოლექტივი ადგენს გადაეგზავნოს გაბრიელაშვილის განცხადება შესაფერი წარწერით დეპოს და მთავარ სახელოს. მუშა-მოსამსახურ. პროფ. კავშირს.

ბოლოს ამხ. ნ. ჯიბლაძე აცნობებს,—თუ რა ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენ გვარდიელებზე—სხვადასხვა ფრონტებზე დახოცილ გვარდიელების ოჯახობის უმწეო მდგომარეობა... დახოცილ გვარდიელების ცოლები ხშირად დაიარებიან შტაბში და მუდარით, ტირილით მოითხოვენ რაიმე დახმარებას...

კრებას გამოაქვს დადგენილება დაევალოს მთავარ შტაბის წევრს ამხ. მ. ძამანაშვილს აღძრას საკითხი მთავარ შტაბის წინაშე, რომ დახოცილ გვარდიელების ოჯახობა უზრუნველჰყონ ნივთიერათ შეძლების დაგვარათ. აგრეთვე მიენდო თ. მეგრელიშვილის, დ. ლორთქიფანიძეს და ს. ფარქასაძეს იშუამდგომლონ რკინის გზების მუშა-მოსამსახურეების პროფ. კავშირის ცენტრალურ გამგეობის წინაშე—სხვადასხვა ფრონტებზე დახოცილი რკინის გზელ გვარდიელების ოჯახობის დახმარების საკითხის საჩქაროთ მოსაგვარებლათ, მანამდე კი მათ უსათუოთ უნდა მიეცეთ პურის ბარათები.

მდივანი **გ. ფოფხაძე.**

## მუშათა შორის

**თბილისის ხე-ტყის დამუშავების** პროფესიონალურ კავშირის გამგეობა იწვევს კავშირის წევრებს არაჩვეულებრივ საზოგადო კრებაზე, რომელიც შესდგება კვირას 15 აგვისტოს, დილის 10 საათზე, მუშათა სასახლეში (რუსთაველის ქუჩა, № 17, ოთახი № 62).

კრების საგანია: 1) განხილვა სარევიზიო კომისიის განცხადებისა იმის შესახებ, რომ ზოგიერთი გამგეობის წევრები არ ესწრებიან კავშირის სხდომებს და რომ საჭიროა ნამდვილი ზომების მიღება კავშირის საქმეთა უფრო წინ წასაწევათ. 2) კავშირის წესდების დამტკიცება (გამგეობის წევრთა და სარევიზიო კომისიის წევრთა რიცხვის განსაზღვრა და დამატებითი არჩევნები წევრებისა გამგეობის და კომისიის არა სრულ შემადგენლობაში, ახალი წევრების კავშირში მიღების წესის დაწესება და სხ. საკითხები, რომლებიც წესდების თანახმად საზოგადო კრებაზე სწყდებიან) და 3) მიმდინარე საკითხები.

რადგან აღნიშნული საკითხები მეტათ მნიშვნელოვანია კავშირისათვის, გამგეობა სთხოვს ამხანაგებს მოვიდნენ დროზე და ყველა.

თუ აღნიშნულ დროსათვის კავშირის იმ წევრთა, რომლებიც თბილისში სცხოვრობენ, რიცხვის ნახევარი არ მოვიდა, ერთი საათის შემდეგ ე. ი. დილის 11 საათზე იმავე დღეს იქვე დაინიშნება მეორე კრება, რომელიც კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ დაესწროს.

— —

**თფილისი.** „კომუნისტი“-ს № 23-ში წავიკითხე ვიღაც „სანდროს“ წერილი, რომელიც აღნიშნავდა „იდეური“ ბრძოლის ნიმუშებს. წერილის ბოლოში მოწერილია: „შორს რაღას მივდივართ,—შებრძანდით მუშათა სასახლეში მოთავსებულ სანდრო მაისურაძის სახელობის სამკითხველოში და თქვენ აგიხსნიან, თუ რატომ არ არის აქ კომუნისტური გაზეთები“.

ამ ზემო ამოწერილიდან გამოდის, რომ თითქოს იქ აგიტაციას ეწეოდეს ვინმე კომუნისტურ ორგანოს წინააღმდეგ.

ამის დამწერმა იცოდა, რომ აღნიშნულ წიგნ.-საც. სამკითხველოს პასუხისმგებელი გამგე ამ ჟამათ თფილისში არ იმყოფებოდა და ალბათ, ეგონა ეს მისი მტკნარი ტყუილი ყრუთ ჩატარდებოდა. სიმართლის აღსანიშნავათ საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი განმარტება: ერთ საღამოს ჩვეულებრივად გავედი მეგაზეთეებთან და „კომუნისტის“ მეორე ნომერს შევხვდი (პირველი ნომერი როგორღაც გამომრჩა) და იმ წამსვე ვიყიდე. მეორე დღეს შემოდის ვიღაც ახალგაზრდა და მთხოვს „კომუნისტის“ პირველ ნომერს. მე მიუთითე მეორე ნომერზე და ბოდიში მოვიხადე, რომ პირველი ნომერი არ მქონდა. მან განმიცხადა: სტამბაში მომუშავე ვარ და ყოველ დღე შემიძლია თითო ნომერი მოგიტანოო“.

მეორე დღეს მართლაც მომიტანა 1 და 3 ნომრები. შემდეგაც მოველოდი, მაგრამ აღარ მოიტანა. იმ კვირაში ფული სრულიად შემოჭლია და ვერც ჩვენმა ხაზინადარმა მოგვცა გაზეთების ფული. სხვა ზოგიერთ გაზეთებსაც მოკლებული ვიყავით; მაგ. არ ვღებულობდით „სლოვოს“ და „აშატავორს“. ჩვენ სამკითხველოს გამგეობამ არა თუ უარჰყო „კომუნისტის“ გამოწერა, პირიქით, დაადგინა—აუცილებლათ გამოიწეროს ის.

ახლა არ ვიცი რა ვუწოდო „კომუნისტების“ ჭორიკანობას, თუმცა სულ ერთია მათთვის რაც უნდა უწოდო, მხოლოდ უნდა იცოდენ, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და ასეთი რაშით შორს გზას ვერ გადაივლიან.

წიგნთ საც.-სამკითხველოს **გამგე.**

## პროვინცია

**მუშათა სახლის საძირკვლის ჩაყრა.**

**ფოთი.** 7 აგვისტო დიდი ისტორიული დღეა:

დღის 1 საათზე თავს იყრის მუშათა სასადილოს წინ ყველა დაწესებულებების და ორგანიზაციების წარმომადგენელნი; სრულ 2 საათზე კავშირის გამგეობის სახელით კრებას გახსნილად აცხადებს ამხ. პეტრე სეფერთელაძე. პირველი ბარი დაჰკრა და აგური დაადვა საძირკველს 45 წლის კავშირში მომუშავემ ძველმა ჭალარა მუშამ ბესარიონ თავბერიძემ. თავმჯდომარემ ამხ. სეფერთელაძემ მიმართა სიტყვით მუშებს და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა ის ბრძოლა, რომელსაც ფოთის პროლეტარიატი დიდი ხანია აწარმოებდა.

შემდეგ ლაპარაკობს მუშების სახელით ამხ. რ. ქორქია, რომელმაც აღნიშნა საქართველოს მუშების პოლიტიკური შენება-შეკავშირება; შინ თოხის და ჩაქუჩის ქვეშ ოფლის ღვრა, გარეთ და შიგნით მტრების წინააღმდეგ გულმკერდით და სისხლით სამშობლოს კეთილდღეობისათვის და რევოლიუციის მონაპოვარის დაცვა-შენარჩუნებისათვის ბრძოლა.

კავშირთა საბჭოს სახელით ლაპარაკობს საბჭოს მდივანი ლაზ. ძიმისტარიშვილი.

სოც.-ფედერალისტთა სახელით ლაპარაკობს მიხა ესაკია. შემდეგ საზოგადოებას მიესალმა ინჟენერი ფირცხალაური, რომელმაც შესწირა სახლის აშენებისათვის 50 ათასი მანეთი და რომელსაც აქვს მინდობილი ამ სახლის აშენება.

ს. ს. დ. მ. პ. კომიტეტის სახელით ესალმება მუშებს კომიტეტის თავმჯდომარე არ. სამსონაძე, რომელმაც მოუწოდა მუშებს იარონ ნაცადი წმინდა მარქსისტული გზით.

დასასრულ ქალაქის გამგეობის სახელით ლაპარაკობს გამგეობის წევრი ლუკა დავითაია, რომელმაც მოკლეთ აღნიშნა დიდი მუშათა საქმის მნიშვნელობა და ამცნო მუშებს სასიამოვნო დადგენილება ქალაქის გამგეობისა, რომელსაც აქვს გარდაწყვეტილი აღძრას შუამდგომლობა ქალაქის საბჭოს წინაშე, რათა მან გადასდოს მუშათა სახლის სასარგებლოთ ნახევარი მილიონი მანეთი. თავმჯდომარე მადლობას უცხადებს მუშების სახელით მას. ამავე მიზნისათვის შესწირა 100 ათასი მანეთი შენობის აგების ზედამხედველმა და ფოთში ცნობილმა ქველმოქმედმა გიორგი ალექსანდრესძე საბახტაროიშვილმა, აქსენტი ქვახიამ 25 ათასი მანეთი. საძირკველს ქვეშ დატანებულ იქნა საგანგებოთ ბოთლებში გაკეთებული: 1) საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და გამგეობის დადგენილებანი ხსენებული ბინის აგების შესახებ, 2) ყველა ქართული ფულები დაწყებული 50 კაპ. 500 მანეთამდე და ერთი ვერცხლის ფულიც თამარ მეფის დროის 20 კაპ. შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რათა გაეგზავნოს მისალმების დეპეშა მთავრობის თავმჯდომარეს, დამფუძნებელ კრებას და სხვა და სხვა საზოგადო ორგანიზაციებს და პოლიტიკურ მოღვაწეებს.

თავმჯდომარე უკანასკნელად მადლობას უცხადებს ყველა მოქალაქეთ, საპატიო სტუმრებთ დიდი თანაგრძნობისათვის და იწვევს მათ სადილზე, რომელიც დანიშნული იყო ქალაქის ბაღში.

**მარხილი.**

## წერილი რედ. მიმართ

პასუხი დამაწვე მუშას.

წარსულ ივლისში ჩემ ნავთლუღში არ ყოფნის დროს „ერთობის“ № მე-151-ში თქვენ მოგითავსებიათ წერილი შემდეგი სათაურით: „ვაჭრობა რკინის გზის პურით“. თუ რამდენათ მონაწილე ვარ ამ ბოროტებაში, ამას გამოძიება გამოარკვევს, რომელიც უნდა მოხდეს ამ მოკლე ხანში.

რამდენიმეთ ნავთლუღის რაიონულ გამგეობის სარევიზიო კომისიის წევრები ამხ. რაზმაძე და ჯანგიძე „ერთობის“ № მე 171 ში წერილით ამტკიცებენ თქვენი წერილის უსაფუძვლობას, მაგრამ მე ამით ვერ ვკმაყოფილდები. არ შეუდგები ახლა თავის მართლებას და სიმართლის აღსადგენათ მივმართავ უფრო რადიკალურ საშუალებას. იმედია თქვენც მოიხსნით პირბადეს და გამომყვებით სამედიატორო სამართალში. ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის წევრს ამხანაგ მიხა ძამანაშვილს და რკინის გზის ცენტრალურ გამგეობის წევრს ამხ. პავლე გძელიძეს.

იმედია ამ წერილის დაბეჭდვიდან ათი დღის განმავლობაში დაასახელებთ თქვენი მხრით მედიატორებს და ასე გამოვარკვევთ მტყუან მართალს.

ნავთლუღის სახაზინო რკინის გზის სადგურის უფროსი **გ. ფანჯავიძე.**

— —

**სამედიატორო სასამართლოს განაჩენი,**

1920 წ. 5 აგვისტოს სამედიატორო სასამართლომ, დამფუძნებელ კრების წევრის გაბრიელ ცისკარიშვილის თავმჯდომარეობით და კოტე გიორგობიანის და ილია ხარაიძის, ერთი მხრით და მეორე მხრივ რევაზ გაჩეჩილაძის და ნიკოლოზ ელიოზაშვილის მონაწილეობით გაარჩია სამსონ ჯაშის და მირიან სადრაძის შორის მომხდარი ინციდენტი და დაადგინა: როგორც საქმის ყოველმხრივად გაცნობიდან სჩანს, ჯაშზე არ შეიძლება ითქვას რომ ის ცილისმწამებელია, ვინაიდან გამოირკვა. რომ ის დარწმუნებული იყო თავის ბრალდების სიმართლეში და გულწრფელად განაცხადა ს. ს. დ. მ. პ. ც. კ. წინაშე ბრალდება სადრაძის მიმართ. 2) სადრაძე რწმუნდება რა იმაში, რომ ჯაშს სადრაძისათვის ბრალდების გადმოსროლას უკარნახებდა გულწრფელობა და სწორედ ამან გამოიწვია მათ შორის გაუგებრობა, იღებს თავის ბრალდებას ჯაშის მიმართ ცილისწამებაში უკან. 3) მედიატორე სასამართლო ამ განაჩენით აბოლავებს რა მათ შორის გაუგებრობას, ახდენს მათ შორის შერიგებას და ხმით სპობს ამ საქმის გარშემო აღძრულ ხმაურობას და თვითი საქმესაც. 4) არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ამ საქმის ხელმეორედ გასაჩივრებისა.

წევრები: კოტე გიორგობიანი, ილია ხარაიძე, ნიკო ელიოზაშვილი, რევაზ გაჩეჩილაძე. თავმჯდომარე გ. ცისკარიშვილი, მდივანი ილია ხარაიძე.

## ცნობები

ვლადიმერ (ვალოდია) ნიკიფორეს ძე ცინცაძე მსახურებდა უკანასკნელ დროს გაგრის ფოსტა-ტელეგ. განყოფილებაში. შემდეგ მსახურებდა გაგრის გვარდიაში. სოჭის დაცემის შემდეგ არაფერი გაგვიგია. თუ ვინმემ რამე იცით, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი ადრესით. თფილისი ელისაბედის ქუჩა სახლი № 17. მირიან ტ. ციხცაძე.

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**

## განცხადებანი

ოზურგეთში ექიმი
**ს. ვ. აბაშიძე**
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით, (გულის, ფილტვების და კუჭ-ნაწლევის) სიფილის შეხაპუნება „914 და 606“. კ. სიამაშვილის სახლში. (თ. 2634.)

ექიმი
**ა. გ. ვართანოვი**
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სასამართლოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი **ივ. გოკიელი**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 14; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ ქირურგ., ქალის სნეულებანი და საშარ. შერ. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ჰოსპიტალი—ექიმი
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეხაპუნებით. ჭიით ცხვარ სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

**სამკურნალო**
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
**მიხეილ გედევანიშვილისა**
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

ექიმი
**ი. ა. ტერ-ოვაკუმოვი**
გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან **მიხეილის პრ. № 23** ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად **სიფილისი**, ვენერიული ავათმყ. (გამწვავებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606“ და 914 შეხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ. (თ. 2577)

ექიმი
**ნ. ლ. ტურიაშვილი**
იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

ექიმმა
**ნიკოლოზ მახვილაძემ**
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (თ. 2528)

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო ბებუთოვის ქ. № 5. (ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბინის ახლოს). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

დოქტორი
**გ. გ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა—ელექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი
**ე. ი. პალანდაძე**
ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღის ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლოს (2383—თ.)

ექიმი
**გენრიხ ისაიას ძე ბოლოში**
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი
**გ. ი. ოყროპირიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი
ზინაიდა ისაიას ძე ბოლოში
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (1742—თ.)

**თფ. მიწადმზომელთა სასწავლებელი**
ამით აცხადებს რომ მისაღები გამოცდები პირველს კლასში შემომსვლელთათვის დაიწყება 5 სექტემბერს დილის 9 საათზე. გამოცდა არითმეტიკაში, გეომეტრიაში, ფიზიკაში, გეოგრაფიაში და ბუნებისმეტყველებაში ქართულს ენაზე მოხდება უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლების კურსის ფარგლებში. თხოვნების მიღება და საჭირო ცნობების მიცემა ყოველ დღე შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში 10 საათიდან შუადღის 2 საათამდე (გუნიბის ქუჩა სახლი № 46. (2687 1—1)

16 აგვისტოდან თფილისში გამოვა
ყოველკვირეული, საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
**„სოფლის მუშა“**
ორგანო საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა
**გაზეთი გამოვა ორშაბათობით**
მასალები უნდა გამოეგზავნილ იქნეს გაზ. „ერთობის“ სახელზე—თფილისი, ერთობის ქუჩა 4, „სოფლის მუშისათვის“.
სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ვლ. ლომთათიძე. ივ. გომართელი. სტ. ელიაძე.